შირაქი

დედოფლისწყარო

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№5 (10.160)
1–8 მარტი 2025 წელი
ფასი: 60 თეთრი

გილოცავთ!

ძვირფასო ქალბატონებო, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს.

ჩვენდა საამაყოდ, საქართველოში ქალის როლი ყოველთვის გამორჩეული იყო. ძლიერმა და განათლებულმა ქალებმა, უპირველესად კი, გმირმა დედებმა, მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მთელი ჩვენი წარსულიცა და აწმყოც ხომ თქვენი მაღალი ზნეობის, სათნოების და თავდადების მაგალითია. დიახ, აწმყოც, რადგან ისტორიულად ჩამოყალიბებული ამ ტრადიციიდან ქართველ ერს არასოდეს გადაუხვევია და თანამედროვე ქალი უწინდებურად არის დედა, ოჯახის ბურჯი და აქტიური მოქალაქე. გილოცავთ დედის და ქალთა საერთაშორისო დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერებას, პროფესიულ წარმატებებს, ბედნიერ დედობას, და რაც მთავარია, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას. უფალი გფარავდეთ!

ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს გილოცავთ, ძვირფასო მანდილოსნებო. ვფიქრობ, რომ 3 და 8 მარტის დღესასწაულები თითოეულ ჩვენგანს საშუალებას გვაძლევს, კიდევ ერთხელ გამოვხატოთ ის დიდი სითბო და სიყვარული, რომელსაც თქვენ ისედაც იმსახურებთ.

არაერთხელ მითქვამს, რომ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი იყო დედა. ის დღემდე ძალიან მაკლია და მენატრება. რთულია ვიპოვო სიტყვები, რომლებიც ჩემი დედისადმი დამოკიდებულებას ნათლად ასახავს. ასევე რთულია იმ სიტყვების პოვნა, რომლებიც დედა-შვილობის ფენომენს გადმოსცემს. ამიტომ ისევ დიდ ვაჟას დავესესხები, რომელმაც ღირსეული დედა ღმერთს შეადარა: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადაო“...

რა თქმა უნდა, ქალის როლი მხოლოდ დედობა და მეუღლეობა როდია. ქალს შეუძლია წარმატებული იყოს ნებისმიერ ასპარეზზე. ამიტომაც, გისურვებთ პროფესიულ და პირად წარმატებებს, ულევ სიხარულს, დღეგრძელობასა და გახარებას.

თბილო და მზიანო დედებო, დებო, შვილებო და მეუღლეებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს. უფალი იყოს თქვენი, თქვენი ოჯახების და სრულიად საქართველოს მფარველი!

ნუგზარ პაპიაშვილი, *დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*

...როცა ოცნება შეხვდა რეალობას

ნიტა და ნიცა პატარა, ლამაზ ქალაქში ცხოვრობდნენ. მშობლებს ძალიან უყვარდათ თავისი გოგონები და ცივ ნიავს არ აკარებდნენ. პატარა პრინცესებს განსაკუთრებით მამა ანებივრებდა, მათ ყველა სურვილს უსიტყვოდ ასრულებდა. გოგონებსაც საკუთარი, ზღაპრული სამყარო ჰქონდათ და წარმოსახვაში მომავლის გეგმებს ადგენდნენ. მათ მიერ მოგონილ სამყაროში ყველაფერი ლამაზი იყო, არ არსებობდა ბოროტება და მხოლოდ სიკეთე და პოზიტივი სჭარბობდა.

საბავშვო ბაღშიც და სკოლაშიც გამორჩეულები იყვნენ. საოცრად მდიდარი შინაგანი სამყარო ჰქონდათ, უყვარდათ პოეზია...

სკოლის დამთავრების შემდეგ დედაქალაქში ერთ-ერთ უნივერსიტეტში ჩააბარეს და მჩქეფარე სტუდენტური ცხოვრებაც დაიწყო. ინტელექტუალურ და სასიამოვნო გარეგნობის გოგონებს თაყვანისმცემლები არ აკლდათ. დები თითქმის ყველგან ერთად დადიოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლობდნენ.

ნიცას განსაკუთრებით ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ცისფერთვალება და ქერათმიანი გოგონა მართლაც პრინცესული გარეგნობით გამოირჩეოდა და სწამდა, რომ ბედისწერაც ზღაპრულ ცხოვრებას უმზადებდა.

გაზაფხულის ერთ, მზიან დღეს კურსელებმა გადაწყვიტეს, რუსთაველის თეატრში ახალი სპექტაკლი ენახათ. ნიცა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა და ახალგაზრდებიც მაქსიმალურად ცდილობდნენ, ყველა პრემიერას დასწრებოდნენ. ნიტასაც ძალიან უყვარდა ხელოვნება და დასთან ერთად ხშირად ესწრებოდა თეატრალურ დადგმებს. იმ დღეს ნიტას არ ეცალა. კოლოქვიუმი გვიან დაუნიშნა ლექტორმა. ნიცა თანაკურსელებთან ერთად პრემიერას დაესწრო. სპექტაკლში მთავარ როლს ახალგაზრდა მსახიობი ასრულებდა. ნიკოს მიერ განსახიერებული როლით მოიხიბლნენ ნიცა და მისი კურსელები. სპექტაკლის შემდეგ საგრიმიოროში ახალგაზრდა თაყვანისმცემელთა ტევა არ იყო. ყველა ცდილობდა, ახლოდან გაეცნო ნიკო, მასთან ფოტო გადაეღო. მხოლოდ ნიცა არ აქტიურობდა. ეს არ გამოჰპარვია ნიკოს. მან თვითონ მიაქცია ყურადღება გოგონას და ტელეფონის ნომერიც გამოართვა. ასე დაიწყო მათი სიყვარულის ისტორია. დღეები მართლაც მზისფერი იყო, ახალ სპექტაკლებზე დასასწრები მოსაწვევებითა და ყვავილებით სავსე. მალე დაოჯახდნენ. ყველა შენატროდა ლამაზ წყვილს, რომელთაც ერთმანეთის უსიტყვოდ ესმოდა... ახალგაზრდა ოჯახს ჯერ ნანატრი ვაჟი მოევლინა, შემდეგ - გოგონა. ბავშვებზე ზრუნვა ბებიამ და პაპამ იტვირთეს. ყველაფერი იდეალურად იყო, ისე, როგორც ბავშვობის წარმოსახვაში.

ერთ დღეს ნიკო სახლში ნასვამი და გაღიზიანებული მოვიდა. ქმრის აგრესიას სიმშვიდით შეხვდა ნიცა, მაგრამ პირველი უთანხმოება მეუღლეებს შორის მაინც მოხდა. მას შემდეგ ნიკომ სმას მოუხშირა, სახლში დაგვიანებას და დებოშის ატეხას... მისმა ქცევის ცვლილებამ სამსახურშიც პრობლემები შეუქმნა, ბოლო დროს მთავარ როლსაც აღარ სთავაზობდნენ. ეს მის გაღიზიანებას უფრო ამძაფრებდა. ოჯახს ეკონომიკურადაც გაუჭირდა. ნიცამ გადაწყვიტა, მუშაობა თავად დაეწყო. თავის კურსელებს დაუკავშირდა და ერთ-ერთ პრესტიჟულ ფირმაში დასაქმდა.

ნიცა ცდილობდა, მეუღლეს მხარში ამოსდგომოდა, მაგრამ ყველა მისი მცდელობა ამაო იყო. ნიკო დეპრესიამ შეიპყრო, ყველანაირ წარუმატებლობას ცოლს აბრალებდა და ჯავრს მასზე იყრიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნიცას ფიზიკურადაც შეეხო. ქალს უეცრად ცა თავზე ჩამოექცა და მთელი მისი სამყაროც ქვეშ მოიყოლა. არა, ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ ამას – ვერასოდეს. რა უნდა ექნა? შვილებს ვერ უღალატებდა, ვერც ნიკოს მიატოვებდა, რადგან ყველაფრის მიუხედავად, მაინც უყვარდა. მის მიმართ ზიზღს კი არა, სიბრალულს უფრო გრძნობდა. დროებით მისგან გარიდება და საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა. უცხოეთში მცხოვრებ მამიდაშვილს დაუკავშირდა, რომელიც საბუთების მოგვარებაში დაეხმარა, ბანკიდან სესხი გამოიტანა და საბერძნეთში წავიდა. მხოლოდ შვილებს დაემშვიდობა, ნიკოსთვის არაფერი უთქვამს.

უცხო ქვეყანაში სამსახური მალე იშოვა. იმ ოჯახში, სადაც შინამოსამსახურედ მოეწყო, ძალიან მოსწონდათ და ანაზღაურებაც კარგი ჰქონდა. პირველად შვილები ძალიან ენატრებოდა, ღამით თითქმის არ ეძინა, ბალიშს ცრემლებით ასველებდა. მერე ნელ-ნელა მიეჩვია ამ ტკივილით ცხოვრებას, შვილებთან ურთიერთობას ვირტუალურად ხშირად ახერხებდა. თავდაპირველად ისინიც ტიროდნენ, დედას სულ მონატრებაზე ესაუბრებოდნენ, მაგრამ მერე ძვირადღირებულ საჩუქრებს მიეჩვივნენ და წუწუნი შეწყვიტეს. ნიცაც იმით სულდგმულობდა, რომ შვილების გაბედნიერება შეეძლო. საკუთარ გრძნობებზე უარი თქვა და მხოლოდ შვილების სიხარულით ცხოვრობდა. სკოლა რომ დაამთავრეს, შვილებს საჩუქრები გაუკეთა – ბიჭს მანქანა უყიდა, გოგონას-ბინა. მისი გამოგზავნილი ფულით ნიკოც უზრუნველად ცხოვრობდა და ამის გამო უხერხულობას სულაც არ გრძნობდა.

ნიცას კი ძალიან ენატრებოდა სამშობლო, მშობლები და შვილები. მაგრამ მოხუცებული მშობლების გარდა მას ჩამოსვლას არავის სთხოვდა, ის არავის ენატრებოდა. ბოლო დროს შვილებიც მხოლოდ იმისთვის ურეკავდნენ, რომ ფინანსური დახმარება ეთხოვათ. არ უნდოდა საკუთარ თავს გამოსტყუდომოდა, რომ ფულის საჭრელ დაზგად იქცა. გული სტკიოდა, მაგრამ თავს იმით იმშვიდებდა, რომ სამშობლოში შვილებს უზრუნველ ცხოვრებას სხვანაირად ვერ შეუქმნიდა. იმედს იტოვებდა, რომ სულ რამდენიმე წელიც და, მისი გაგზავნილი თანხით და მისი გემოვნებით მოწყობილ ბინაში დაბრუნდებოდა და ბედნიერად იცხოვრებდა. ეს იმედი ერთმა ვიდეო ზარმა დაასრულა, როცა მისმა გოგონამ დედას უცხო ქალი წარუდგინა და მამის ახალ მეუღლედ გააცნო.

ელდამ ტანში დაუარა. გულზე ჩხვლეტა და საშინელი ტკივილი იგრძნო. რამდენიმე საათში პაციენტის – ნომრით №551 ადგილას ცარიელი საწოლი დარჩა...

* * *

ეს ბევრი ქართველი ქალის ისტორიაა, ქალის, რომლებმაც კაცის ფუნქცია იტვირთეს და საკუთარ ცხოვრებაზე უარი თქვეს ოჯახის, შვილების კეთილდღეობისთვის. ასეა, როცა ოცნება ხვდება რეალობას...

✍ ***ინგა შიოლაშვილი***

სოფლის კრებები დასრულდა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების გამოვლენის მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრები 21 თებერვალს გამარჯვებასა და სამრეკლოში ჩატარდა. ამით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დასახლებების საერთო კრებები დასრულდა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეხვედრა 15 დასახლებაში ჩატარდა, სადაც საერთო გადაწყვეტილებით მოსახლეობამ პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები შეარჩია, რასაც ასევე დაემატება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან დედოფლისწყაროს 256 000 ლარი გამოეყო. ადგილობრივ ბიუჯეტს აქვს საშუალება, დაემატებინა იგივე რაოდენობის თანხა და დაახლოებით 600 000 ლარით ვიწყებთ სოფლის პროგრამის სამუშაოებს. თხუთმეტივე სოფელში მოსახლეობის აქტიური ჩართულობით დასრულდა შეხვედრები, მიუხედავად იმისა, რომ დიდთოვლობა და მკაცრი ამინდები იყო. ამ პროგრამის ხიბლიც და მთავარი მიზანიც სწორედ ესაა. არაჩვეულებრივი საშუალებაა ჩვენთვის, რომ სოფლად მოსახლეობის მხრიდან წამოსული იდეები განვახორციელოთ. ახლა უკვე შეგვიძლია შერჩეული საკითხების რეზიუმე გავაკეთოთ. ძირითადად ბავშვთა გასართობი სივრცეების მოწყობა, ან რეაბილიტაცია მოითხოვეს. მთელს მუნიციპალიტეტში სრულად გვაქვს გარე განათება დასრულებული, ამიტომ ორ სოფელში გვაქვს გამორჩენილი ადგილები, სადაც მოსახლეობა არ ცხოვრობდა და ახლა დაბრუნდნენ, იქ დავამატებთ განათებას. ასევე სასაფლაოების შეღობვა მოხდება, წყაროების მოპირკეთება. პატარა, მაგრამ სოფლისთვის მნიშვნელოვანი საქმეები გაკეთდება. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური ახლა აქტიურად მუშაობს საიმისოდ, რომ მოსახლეობის იდეები პროექტებად აქციოს და სამუშაოები დროულად დაიწყოს. მზადდება დოკუმენტაცია, რომ შემდეგ პროექტები შევიძინოთ და სამუშაოების მწარმოებელი კომპანიები გამოვავლინოთ. გასულ წელს საქართველოს მასშტაბით ყველაზე მალე დედოფლისწყაროში დავამთავრეთ ამ პროგრამის სამუშაოები და წელსაც იმედი გვაქვს, რომ პირველები ვიქნებით. ამჯერად 26 პრიორიტეტული საკითხია დასახელებული და ვფიქრობ, ზაფხულის ბოლომდე სამუშაოები დასრულებული იქნება.“

ოთარ ნასრაშვილი ***(მერის წარმომადგენელი სამრეკლოში):*** „სოფლის ცენტრში ახალი სტადიონის რეაბილიტაცია აირჩიეს. ძველი მესერი მოიხსნება და ახალი დამონტაჟდება. ასევე, სტადიონის უკან სკვერი უნდა მოეწყოს. წინა წლებში მიმდინარეობდა და ახლა დამთავრდება ეს სარეკრეაციო სივრცე. როცა მე სოფლის რწმუნებულად დავინიშნე ეს ადგილი ძირითადად მიტოვებული ნაგავსაყრელი იყო, ბეტონის ნანგრევები ეყარა. მესამე წელია ვცდილობთ ამ ცენტრალური ადგილის გამოცოცხლებას და განვითარებას. ამას გარდა სოფლის კრებაზე დაისვა საკითხი ცენტრალურ მოედანზე, სადაც ჭადარი დგას, წრიული ჯებირის აღდგენა. ასე რომ ეს საკითხიც განხორციელდება. 20 000 ლარი გვაქვს გამოყოფილი და ამას დაამატებს მერიაც“.

მურად ელაშვილი ***(მერის წარმომადგენელი არბოშიკში):*** „პირველ საკითხად სოფლის მთავარი სანიაღვრე არხის გაწმენდა დასახელდა. გასულ წელსაც დაისვა ეს საკითხი, მაგრამ მაშინ სხვა პრობლემამ გადაწონა და საამისოდ თანხა აღარ დაგვრჩა. ახლა კი მხარი დაუჭირეს. 10 წელია აღარ გაწმენდილა და დროთა განმავლობაში საჭიროებს წმენდას. მეორე საკითხად დასახელდა ე.წ. კოტაანთ უბანში, სოფლის შესასვლელში და ასევე ცენტრში მდებარე სკვერში საბავშვო სავარჯიშო ტრენაჟორების მონტაჟი. ასევე დაისვა სკოლის მშენებლობის დაჩქარების საკითხი, რადგან ბავშვები ზემო მაჩხაანში დადიან და ეს სირთულეებს ქმნის. სხვა პრობლემები არ წამოჭრილა, რადგან ცენტრალური და ორი შიდა გზა გაკეთდა, დენი, წყალი, ინტერნეტი გვაქვს... ასევე ოქტომბერში ახალი სატუმბი სისტემა დამონტაჟდა და წყლის ცენტრალურ რეზერვუარს იმდენ მარაგს აწვდის, რომ დეფიციტი აღარ არის, გრაფიკის ამოქმედება აღარ გვჭირდება და უწყვეტი წყალმომარაგება გვაქვს. ვნახოთ, ზაფხულში რა ვითარება იქნება“.

✍ ილია მარტყოფლიშვილი

სოფელ ფიროსმანში წყლის მრიცხველები დამონტაჟდა

სოფელ ფიროსმანში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და სოფლის გამრიცხველიანება დასრულდა. ადგილობრივებს წყალი 24 საათის განმავლობაში მიეწოდებათ. როგორც სოფლის რწმუნებულმა ვალიკო აბაშიძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ასევე რეაბილიტირდა სარწყავი სისტემა, რაც ვენახების მოსარწყავად სიმძლავრეს გაზრდის.

„ამჟამად წყალმომარაგების ახალი სისტემა სატესტო რეჟიმში მუშაობს. სამი ჭაბურღილი გვქონდა, მაგრამ ახლა გაკეთდა მაღალი წარმადობის ჭაბურღილი, ახალი ქსელი დაიფინა და ყველა ოჯახში შევიდა, აქამდე მრიცხველებს არ ვიყენებდით, ახლა კი სრული გამრიცხველიანება მოხდა. ფიროსმანში 160 ოჯახია და დაახლოებით 200-მდე აბონენტი გამრიცხველიანდა. ახლა გრაფიკი არ გვჭირდება, მუდმივად მიეწოდება წყალი, დაბალი მოხმარებაა და საკმარისია. ვნახოთ, ზაფხულის ცხელ სეზონზე რა ვითარება გვექნება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გამრიცხველიანება წყლის უკონტროლო მოხმარებას შეზღუდავს. აქამდე ჩვენს სოფელს წყალი დღეგამოშვებით და ისიც მხოლოდ 3-4 საათით მიეწოდებოდა.

ამას გარდა, სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია ხდება. დამატებითი ძრავები დამონტაჟდება, რაც სიმძლავრეს გაზრდის. ახალი სისტემა ქვიშის დალექვას და სუფთა წყლის მიწოდებას შეძლებს. გაიზრდება ვენახების ფართობი, რომლის მორწყვასაც შევძლებთ. ასეთი 700—800 ჰა იქნება. ღია არხებით მიგვყავს წყალი ვენახებამდე, ყველაფერი დაპროექტებულია და სოფლის მთელ ტერიტორიაზე მივა სარწყავი წყალი. მოურწყავი ვენახი და ნაკვეთი აღარ გვექნება,“ — აღნიშნავს ვალიკო აბაშიძე. **შირაქი**

ინფრასტრუქტურული გეგმების პრეზენტაცია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიაში სამუშაო შეხვედრა გამართა. თათბირზე მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა სოლომონ ღორაშვილმა კოლეგებს 2025 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები წარუდგინა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, წლევანდელი წელი ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული წელია სამსახურისთვის, რადგან აქტიურად ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, მათ შორის, შიდა სასოფლო საავტომობილო გზები, სპორტული, საბავშვო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის.მოწყობა სხვა. მერიის ცნობით, მხოლოდ რეგიონული განვითარების ფონდიდან წელს დედოფლისწყაროში 6,5 მილიონი ლარის პროექტები ფინანსდება

გასულ წელს დედოფლისწყაროში ხანძრის შემთხვევები გაორმაგდა

დედოფლისწყაროში ხანძრების შემთხვევები გაიზარდა — ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2024 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ხანძრის შემთხვევები წინა წელთან შედარებით გაორმაგდა. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი მედიკო მიროტაძე კონკრეტულ ციფრებსაც გვაწვდის.

როგორც შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განმარტავენ, 2024 წლის განმავლობაში სამაშველო სამსახურში სულ 393 შეტყობინება შევიდა, საიდანაც 342-ზე რეაგირება მოხდა, 51 შემთხვევაზე კი რეაგირება არ გახდა საჭირო. მათ შორის 162 ხანძრის შემთხვევა იყო, საიდანაც სახანძრო ეკიპაჟი ყველა მისამართზე მივიდა, ხოლო 231 სამაშველო გამოძახება იყო, საიდანაც 180-ზე რეაგირება მოხდა. სწორედ ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ დედოფლისწყაროში ხანძრის შემთხვევები ორჯერ მეტი აღირიცხა, ვიდრე 2023 წელს.

რაც შეეხება 2023 წლის მონაცემებს: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან შესულია სულ 289 შეტყობინება, საიდანაც 208 სამაშველო ხასიათისაა, 81 კი სახანძრო. 208 სამაშველო გამოძახებიდან 169-ზე მოხდა რეაგირება, 39 შემთხვევაში კი რეაგირება არ გახდა საჭირო. ხანძრის 81-ვე შემთხვევაში კი ეკიპაჟი მისამართზე გამოცხადდა და ცეცხლის ლოკალიზება მოახდინა. **შირაქი**

რძის დეფიციტია, თუმცა ფერმები ვერ იზრდება

„მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე ნედლი რძის 70%-იანი დეფიციტია, ფერმების რაოდენობა ვერ იზრდება“, — ამის შესახებ რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიის „შირაქი“ დამფუძნებელმა და საქართველოს მერძევეობის ასოციაციის თავმჯდომარემ, **ნიკოლოზ ბენიაიძემ** სექტორში არსებული გამოწვევების შეფასებისას ისაუბრა.

მისი ინფორმაციით, ბაზარზე ირანიდან, ბელორუსიიდან და რუსეთიდან იმპორტირებული რძის ფხვნილი გამოჩნდა, რომლის ღირებულებაც იმდენად დაბალია, რომ ნედლი რძე მას კონკურენციას ვერ უწევს. შედეგად, ნედლი რძის ფასი შემცირდა.

„არის ფალსიფიკაცია, არის დაურეგისტრირებელი ე.წ. საწარმოები, რაც დარგის განვითარებას აფერხებს. შარშან, ნედლ რძეს რა ფასებიც დააკლდა, წელს ის ფასები გვაქვს შენარჩუნებული. ჯერჯერობით სარეალიზაციო ღირებულება არც კლებულობს და არც მატულობს.

1 ლიტრი რძე საშუალოდ 1.75-1.90 ლარი ღირს. თუმცა, შეგროვებული რძე უფრო იაფია, რადგან პატარა ფერმები სტანდარტებს და ხარისხს ვერ აკმაყოფილებს. „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა“ ძალიან კარგი პროგრამაა - 5 მილიონიანი, 7-წლიანი სესხი შეღავათიანი პირობებით, თუმცა, ამაზე ფერმერები დიდად აღფრთოვანებულები არ არიან, ვინაიდან ძალიან დიდი რისკია. ფასიდან გამომდინარე ძვირი ჯდება წარმოება, ურთულესი დარგია. თუ არ გამოსწორდა ბაზარზე ფალსიფიკაცია და თუ რესტორნებმა, სახაჭაპურეებმა, მეპურეებმა და ბაზარმა, ყველამ არ გააკონტროლა, რომ ყველა ნაწარმი იყოს ეტიკეტირებული, დარგი ვერ განვითარდება“, — ამბობს ბენიაიძე. **შირაქი**

წარმატებული ქალის უკან ბედნიერი ოჯახი დგას

საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწეობის შემდეგ მეუღლესთან ერთად რძის გადამამუშავებელი საწარმო შექმნა და წარმატებას მალე მიაღწია. საბავშვო ბაღის გამგის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება საწარმოს მენეჯმენტში ეხმარება და ამ გამოცდილების წყალობით, შპს „ლეანკას“ დოკუმენტაცია ყოველთვის სკრუპულოზური სიზუსტითაა მოწესრიგებული. შპს „ლეანკას“ დამფუძნებელი ქეთევან ჩალახეშაშვილი დღეს გაზეთ „შირაქის“ სტუმარია და წარმატებული მეწარმე ქალის ისტორიას გვიზიარებს.

– პროფესიით გეოგრაფ-გეოლოგი ვარ. ჩემი პროფესიის არჩევანი ისტორიის მასწავლებელმა განსაზღვრა, რომელიც საშუალო სკოლაში არა მარტო ისტორიას, არამედ რუქასაც გვასწავლიდა. მთელი კლასი შეყვარებული და გატაცებული იყო სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობაზე რუქის მეშვეობით. მაშინ ტელეფონი და სოციალური ქსელი არ არსებობდა და სწავლას გაცილებით მეტი ყურადღება ექცეოდა. მოსწავლეები ინფორმაციას წიგნების მეშვეობით ვიღებდით და ძალიან ბევრს ვკითხულობდით. საზაფხულო არდადეგების შემდეგ ერთგვარი მარათონი იყო ხოლმე გამართული, ვინ რამდენ წიგნს წაიკითხავდა... ერთმანეთს ვუზიარებდით წაკითხულის შინაარსსა და შთაბეჭდილებებს. მსგავსი სიტუაცია იყო დასვენებებზე რუქის ცოდნის გაზიარების თვალსაზრისითაც-ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, ვინ უკეთ იმოგზაურებდა ზღვით თუ ხმელეთით ამა თუ იმ ქვეყანაში თუ კონტინენტზე...

ჩემი გატაცება ბოლოს იმით დაგვირგვინდა, რომ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჩავაბარე და დავამთავრე გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მშობლიურ რაიონსა და სოფელს დავუბრუნდი, ოზაანის სკოლაში ვასწავლიდი მოსწავლეებს გეოგრაფიას. დაოჯახების შემდეგ ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად დედოფლისწყაროში გადმოვიდა. ჩემი სპეციალობით №1 საჯარო სკოლაშიც ვიმუშავე, შემდეგ კი სკოლიდან საბავშვო ბაღში გადმოვინაცვლე. ბავშვები ძალიან მიყვარს. მათ ხომ ყველაზე უანგარო და უპირობო სიყვარული ახასიათებთ. მათთან ურთიერთობა დიდი ფუფუნება და სიამოვნებაა, მაგრამ საწარმოს დაარსების შემდეგ მომიწია ბაღთან დამშვიდობება და ახალ სფეროში გადასვლა.

– საწარმოს დაარსების იდეა როგორ წარმოიშვა?

– ჩემს მეუღლეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი აქვს, რომელზეც მარცვლეული კულტურები მოჰყავს. ხორბლითა და ქერით შირაქის ველზე განთავსებულ ფერმებს ამარაგებდა და ამარაგებს დღემდე. სწორედ ფერმერებმა შესთავაზეს მას ბარტერული გაცვლა-მარცვლეულის სანაცვლოდ რძის მიწოდება, და ერთგვარად, რძის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნის იდეაც. ჩემს მეუღლეს მოეწონა ეს აზრი და მეც გამიზიარა. ჩემთვის ეს სფერო უცხო იყო და ამიტომ რძის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნის პერსპექტივას აღფრთოვანებით არ შევხვდი. მაგრამ დიმამ ფარ-ხმალი არ დაყარა და თვითონ დაიწყო ყველის წარმოება, თავიდან კუსტარულ დონეზე: იღებდა რძის გარკვეულ რაოდენობას, ჰყავდა სულ ერთი თანამშრომელი, რომელიც რძის გადამუშავებას ახდენდა, ხოლო ჩემს მეუღლეს მიჰქონდა თბილისში და ყიდდა. მცირე საწარმო მუშაობდა ყოველგვარი რეგისტრაციისა და ფორმალობის დაცვის გარეშე. ერთ დღესაც შეგვამოწმა სურსათის უვნებლობის სააგენტომ და საწარმო სოლიდური თანხით დააჯარიმა. ეს გამოფხიზლების ტოლფასი იყო. ჩემმა მეუღლემ გადაწყვიტა, რომ საწარმოსთვის ოფიციალური სახე მიეცა და ყველაფერი კანონიერებისა და შესაბამისი სტანდარტის ფარგლებში მოექცია. ამაში დახმარება მე მთხოვა. მოვიძიე საჭირო ლიტერატურა და გავეცანი ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაკეთებულიყო საწარმო, რომელიც ყველა სტანდარტს დააკმაყოფილებდა. მოკვლეული ინფორმაციის თანახმად, მარტო აგენტის, ანუ კონსულტანტის დაქირავება იმხელა თანხებთან იყო დაკავშირებული, რომლის მოძიება ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო. მაშინ გავიგე რა იყო „ჰასპი“. მოკლედ, მეუღლის მოთხოვნით, წავედი ტრენინგებზე, რათა გამეგო, რა გვინდოდა და როგორ უნდა განგვეხორციელებინა იდეა.

– თქვენ საკმაოდ სერიოზულად და დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ საწარმოს იდეას. ალბათ, ამიტომაც შეძელით წარმატების მიღწევა...

– ტრენინგებზე დასწრებამ მომცა შესაბამისი ცოდნა, რათა განმესაზღვრა, რა მინდოდა და როგორ უნდა განმეხორციელებინა იდეა, რომელიც ჩემი მეუღლის სურვილი იყო. შემდეგ დავიქირავეთ „ჰასპის“ აგენტი, სოლიდური თანხა გამოვიტანეთ ბანკიდან სესხის სახით და ავაშენეთ შენობა სწორედ იმ სტანდარტების დაცვით, რასაც ითხოვდა სურსათის ეროვნული სააგენტო. ტრენინგებზე ჩემთან ერთად დადიოდნენ საწარმოს თანამშრომლებიც. ძალიან კარგი მეცნიერები გვიტარებდნენ სემინარებს, მათ მიერ შექმნილი წიგნებით დღემდე ვხელმძღვანელობთ. ტრენინგების ორთვიანი კურსის შემდეგ მივხვდით, რომ უკვე თამამად შეგვეძლო მუშაობა.

ცოდნის მიღების პარალელურად საწარმო აღვჭურვეთ სათანადო დანადგარებით და დავიწყეთ მუშაობა. დავრეგისტრირდით და დავარქვით ჩვენს საწარმოს შპს „ლეანკა“.

— და რატომ „ლეანკა“, რას აღნიშნავს ეს აბრევიატურა?

— საწარმოს სახელწოდება ჩვენი შვილების სახელების-ლელა, ანი და კახა, შეერთებით წარმოიშვა. სამი შვილი გვყავს და მეოთხე სწორედ ეს საწარმო იქცა, რომელიც მართლაც შვილივით შევიყვარე. სანამ ოფიციალურად დავრეგისტრირდებოდით, ჩვენი პროდუქცია მიგვქონდა თბილისში და ვაბარებდით ბაზარში პირს, რომელსაც თავად შეჰქონდა ყველი ქსელურ მარკეტში „ფრესკო“. მოგვიანებით „ფრესკოს“ დირექტორი თვითონ დაგვიკავშირდა და შემოგვთავაზა თანამშრომლობა. 2016 წლიდან დავდეთ ხელშეკრულება ამ ქსელურ მარკეტთან და მას შემდეგ უწყვეტად ვთანამშრომლობთ. მაღაზიას ყველა პროდუქტით ვამარაგებთ, ესენია: სულგუნი, შებოლილი ყველი, იმერული, ნადუღი; არაჟნის წარმოება დროებით შეჩერებული გვაქვს რძის რაოდენობის შემცირების გამო, მაგრამ გაზაფხულიდან კვლავ განვაახლებთ. „ფრესკოს“ პარალელურად ჩვენი პროდუქციის შეტანა შემოგვთავაზეს სხვა ქსელურმა მარკეტებმაც, როგორიცაა: „ზღაპარი“, „ნიკორა“, „2 ნაბიჯი“, მაგრამ მათთან ურთიერთთანამშრომლობა ვერ შედგა. ამჟამად ვამარაგებთ საქართველოს დედაქალაქში არსებული რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის სამზარეულოსაც.

— ნედლეულს როგორ და სად მოიპოვებთ? ზამთრის სეზონზე რძის წარმოება ყოველთვის შემცირებულია, როგორ უმკლავდება ამ სიძნელეს თქვენი საწარმო?

— რძეს ადგილობრივი ფერმერებისგან ვყიდულობთ. ზამთარში რძის წარმოება ყოველთვის იკლებს, ამიტომ საწარმოს პრობლემა რომ არ შეექმნას, ჩვენ ზამთარში დამოკიდებული ვართ ე.წ. ბაგურ ფერმებზე. ასე ვეძახით ევროპული მერძეული ძროხის ჯიშს, რომლებსაც დაბმულ მდგომარეობაში აძლევენ საკვებს და ისინი სეზონზე დამოკიდებულები არ არიან-ზამთარშიც იძლევიან იმ რაოდენობის რძეს, რამდენსაც სხვა სეზონზე. ამიტომ, ნედლეულის დანაკლისი არ მექმნება ზამთარშიც.

— გასაგებია, რომ ნედლეულის დეფიციტის შევსებას ახდენთ, მაგრამ ეს ფასებზე ხომ აისახება. რამდენადაც ცნობილია, ზამთარში რძის ფასი საკმაოდ მაღალია...

— დიახ, რა თქმა უნდა, ზამთარში რძის ფასი გაცილებით მაღალია, მაგრამ ასევე იზრდება რძის პროდუქტების ფასიც. ამიტომ, პრობლემების გარეშე ვახერხებთ ნედლეულის შესყიდვასაც და მის რეალიზაციასაც.

— რა გამოწვევის წინაშე დგას დღეს თქვენი სფერო?

— ფალსიფიცირება რძის მწარმოებელთა ერთ-ერთი გამოწვევაა. ბაზრის გაკონტროლება ვერ ხდება ისე, როგორც საჭიროა და ხარისხიანი პროდუქცია „იჩაგრება“. ოფიციალურად დარეგისტრირებული საწარმო, რომელსაც უამრავი რეგულაციის დაცვა და გადასახადების გადახდა უწევს, ბუნებრივია, საკუთარ პროდუქციას ძალიან დაბალ ფასად ვერ გაყიდის. არარეგისტრირებული, კუსტარულად მოქმედი საწარმოები კი გადასახადისგანაც თავისუფლები არიან და არც არავის წინაშე პასუხისმგებლობის ტვირთი არ აქვთ. ეს გამოწვევები არსებობდა და კვლავ არსებობს, რადგან ძალიან რთულია არარეგისტრირებული სექტორის გაკონტროლება.

— როგორ უთავსებთ ერთმანეთს ოჯახის დიასახლისობას და მეწარმეობას?

— საკმაოდ დიდი ოჯახი მაქვს. მყავს სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი. ორივე გოგონა დაოჯახებულია და თავიანთი ოჯახები ჰყავთ. თუმცა, როცა ჩვენი ბიზნესი დავიწყეთ, ბავშვები მცირეწლოვნები იყვნენ, მაგრამ გოგონებს უკვე შეეძლოთ თავიანთი თავის მოვლა. ოჯახის მოვლას მიადვილებდა ის ფაქტორი, რომ საწარმო სახლის გვერდით მაქვს და, პრაქტიკულად, ოჯახის და ბავშვების მოვლა პრობლემას არ წარმოადგენდა. თავიდან უფრო დიდხანს მიწევდა ქარხანაში ყოფნა, რადგან დიდი ძალისხმევა იყო საჭირო, სანამ საქმეს ავაწყობდით. ახლა უკვე თანამშრომლების საუკეთესო გუნდი მყავს, რომელთაც კარგად იციან თავიანთი საქმე.

— რამდენი ადამიანია საწარმოში დასაქმებული?

— ამ ეტაპზე საწარმოში მუშაობს ხუთი ადამიანი, ასევე ოთხი მძღოლი, ერთი დისტრიბუტორი და ბუღალტერი. ყველა მათგანი ადგილობრივია, მათ შორის ოთხი ქალია. საწარმოში სრული ჰარმონიაა, ყველანი ერთ საქმეს ვაკეთებთ და ეს კარგად გვაქვს გააზრებული. სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე თანამშრომლობა, ისევე როგორც თანაცხოვრება, შეუძლებელია.

— თქვენ და თქვენი მეუღლე...

— მე და ჩემი მეუღლე ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. საბავშვო ბაღშიც ერთად დავდიოდით და სკოლაშიც. სკოლის დამთავრებიდან ხუთი წლის შემდეგ დავქორწინდით. მანამდე 5 წლით რაღაცაზე ვიყავით გაბუტულები, ოღონდ მიზეზი აღარ მახსოვს (იცინის). ქორწინების შემდეგ, ძირითადად, ბავშვების აღზრდით ვიყავი დაკავებული. ამასობაში 90-იანი წლებიც წამოგვეწია. ყველა სიხარული თუ გაჭირვება ერთად გავიზიარეთ. ასე ვართ ახლაც. საწარმოც ერთად დავაფუძნეთ და ამ საქმეშიც ერთად ვართ. ბავშვობიდან დაწყებული მეგობრობა დღემდე გრძელდება. ყველა გადაწყვეტილებას ერთად ვიღებთ, უკვე 33 წელია.

— თქვენ ხართ ერთ-ერთი წარმატებული ქალი, რომელმაც დაამტკიცა, რომ რეგიონში ცხოვრება სულაც არაა ხელის შემშლელი ფაქტორი, რომ ადამიანი წარმატებული და რეალიზებული იყოს...

—რეგიონში ცხოვრება მინუსი არ არის. გააჩნია, რა საქმეს წამოიწყებ. ახალი საქმე ნიშნავს ახალ კონტაქტებს და სხვა ქალაქებთან კავშირს, ტრენინგებზე დასწრებისა თუ თანამშრომლობის კუთხით. როდესაც ახალ საქმეს იწყებ, გჭირდება ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებთან ურთიერთობა, პრობლემებზე და მისი გადაჭრის გზებზე საუბარი. კონტაქტი ადამიანებს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს.

ჩვენს სფეროში არსებობს ქართული რძის ასოციაცია, სადაც 16 ქარხანაა გაწევრიანებული, რომლებსაც მინიჭებული აქვთ „ქართული რძის ნიშანი“. ამ ნიშნის ქვეშ მყოფი საწარმოები ერთმანეთს რეგულარულად ვხვდებით, გამოცდილებას ვუზიარებთ, შეცდომებს განვიხილავთ და მათი მოგვარების გზებზე ვმსჯელობთ.

მე და ჩემმა მეუღლემ საწარმოს გახსნაზე რომ დავიწყეთ საუბარი, მაშინ ფინანსურად ძალიან გვიჭირდა. ხშირი იყო დღეები, როდესაც მეორე დღის გათენებას შიშით ველოდით, მაგრამ ის დღე ყველაზე კარგი გამომდგარა. ჩვენ მაქსიმუმი გავაკეთეთ იმისთვის, რომ საწარმოში ყველაფერი იდეალურად ყოფილიყო, ჩავდეთ მთელი ჩვენი ენერგია, სიყვარული და ამ საქმემაც გაამართლა. ჩვენამდეც ბევრმა დაიწყო რძის გადამუშავება, მაგრამ შეეშინდათ პრობლემების და დაკეტეს საწარმო. რამდენიმე თვის წინაც დაიკეტა ჩვენთან, დედოფლისწყაროში, ერთი ქარხანა. პრობლემა როდესაც თავს იჩენს ხოლმე საწარმოში, ვიწყებთ შიგნით ძიებას, რა შეცდომა დავუშვით, რამაც არასასურველი შედეგის დადგომა განაპირობა. როდესაც შეცდომას იპოვი, აღიარებ და ეცდები, რომ ის გამოასწორო, საქმე აუცილებლად წინ წავა. არასოდეს დაყარო ფარ-ხმალი და დანებდე პრობლემებს – ესაა წარმატების ჩემეული საიდუმლო.

— რას უსურვებდით და რას ურჩევდით ქართველ ქალებს?

— პირველ რიგში, ყველა ქართველ და, განსაკუთრებით, დედოფლისწყაროელ ქალბატონს ვულოცავ გაზაფხულის დღესასწაულებს. რას ვურჩევდი? ვურჩევდი, რომ არ ყოფილიყვნენ დამოკიდებულები მხოლოდ მეუღლის წარმატებაზე. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც მე ამ საქმეში ჩავერთე, უფრო თავდაჯერებული გავხდი, მეტი იმედი მაქვს საკუთარი თავის და შესაძლებლობების. ყველა ქალს უნდა ჰქონდეს თავისი საქმე, რათა მეტად თავდაჯერებული და რეალიზებული იყოს. კმაყოფილი და ბედნიერი დიასახლისის უკან კი ზუსტად ასეთი ოჯახი და შვილები დგანან.

✍ ინგა შიოლაშვილი

მედალოსანი მოსწავლეები დააჯილდოვეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. დაჯილდოების ცერემონია გასულ კვირას წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა.

2022-2023 სასწავლო წლის წარჩინებით კურსდამთავრებულებს მედლები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა გელა სამუკაშვილმა და მალხაზ მერაბიშვილმა, ასევე საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მაკა ჯანაშვილმა გადასცეს.

ცნობისთვის: 2022-2023 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სკოლა მედალზე 38-მა მოსწავლემ დაამთავრა. აქედან 29 მათგანი ოქროს, ხოლო 9 ვერცხლის მედალოსანია.

გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროელ მედალოსნებს ესაუბრა და მათ წინსვლაში ამ ჯილდოს როლზე გაამახვილა ყურადღება.

გურანდა ღვედაშვილი ***(ოქროს მედალოსანი ქ. დედოფლისწყარო):*** „ადამიანს ცხოვრების ყველა ნაბიჯზე სჭირდება მოტივაცია რათა მეტის მისაღწევად იბრძოლოს. მედლის აღება პირველი კლასიდან დავისახე მიზნად და როდესაც გადმომცეს ერთგვარი სიამაყე ვიგრძენი. სიამაყე იმის, რომ უკვალოდ არ ჩაუვლია მასწავლებლების, მშობლებისა და რა თქმა უნდა ჩემს შრომას. ჩემი აზრით, მოზარდისთვის ამგვარი დაჯილდოვება საკმაოდ დიდ როლს თამაშობს, რადგან მოსწავლე იბრძვის მიზნის მისაღწევად და როდესაც შედეგს აღწევს და გრძნობს წარმატებას, კიდევ ცდილობს განვითარებას. ჩემს შემთხვევაში დიდი ემოციური დატვირთვა ჰქონდა ცერემონიის თითოეულ დეტალს. მოსწავლის, მასწავლებლებისა და მშობლების მიერ 12 წლის განმავლობაში ჩადებული შრომა და ენერგია ამით ფასდება და ეს ცერემონია საუკეთესო გზაა ამისთვის. ვსწავლობ კავკასიის უნივერსიტეტში, სამართალზე. ჩემს უნივერსიტეტში მედალს სამწუხაროდ დატვირთვა არ აქვს. მაგრამ, ჩემი თანაკლასელებისგან ვიცი, რომ გარკვეულ უნივერსიტეტებში, როგორიცაა შავი ზღვისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, მედალი სწავლის საფასურის გარკვეულ ნაწილს უფინანსებს“.

ნიკა აფციაური ***(ოქროს მედალოსანი ზემო ქედიდან):*** „ჩემთვის ოქროს მედალი 12 წლის და განსაკუთრებით ბოლო 3 წლის შრომის დაფასებას ნიშნავს. ნამდვილად კარგი შეგრძნებაა, როცა ოქროს მედალოსანი ხარ. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, რეალურად მედალოსნობა ჯერ არ გამომდგომია სამსახურში, ან უნივერსიტეტში. არ მქონია მომენტი, სადაც ეს დამჭირდებოდა. უბრალოდ კარგი სტატუსია და ასახავს იმ განათლების ხარისხს, რაც სკოლაში შევიძინე. ცხოვრებაში წარმატება კარგ განათლებას მოაქვს და არა ჯილდოებს. ამიტომ, იმედი მაქვს, მომავალში ეს აღიარება წარმატებების მიღწევაში დამეხმარება. ამჟამად გაუ-ს კომპიუტერული ტექნოლოგიების სტუდენტი ვარ, და ვგეგმავ აიტი მიმართულებით განვვითარდე.“

ოქროს მედალოსნები:

1) ქეთევან გივიშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
2) ნინო გურაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
3) ანა ნასრაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
4) სალომე ნასრაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
5) ნიკოლოზ სამუკაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
6) ნიკოლოზ სიჭინავა – დ/წყაროს №1 სკოლა
7) ნიკა ზურაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
8) ლუკა თავაძე – დ/წყაროს №1 სკოლა
9) ნიკა კვანჭილაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
10) გურანდა ღვედაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
11) ლიკა მაჩაბლიშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
12) ნიკა მაჩაბლიშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
13) თეკლა ჯიბღაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
14) ეკატერინე მეხრიშვილი – დ/წყაროს №2 სკოლა
15) ნიკოლოზ კოხტაშვილი – დ/წყაროს №2 სკოლა
16) ნიკოლოზ ყოჩიაშვილი – სამრეკლოს სკოლა
17) აკაკი ყოჩიაშვილი – სამრეკლოს სკოლა
18) ლაშა ლეკაშვილი – სამრეკლოს სკოლა
19) ბარბარე ბაშარული – ზემო ქედის №2 სკოლა
20) ნიკა აფციაური – ზემო ქედის №2 სკოლა
21) ვალერი ვარდიშვილი – ზემო ქედის №2 სკოლა
22) ანა ნაროზაული – ზემო ქედის №2 სკოლა
23) ნინო ლობჟანიძე – ზემო მაჩხაანის სკოლა
24) ფრიდონ იაკობიშვილი – ზემო მაჩხაანის სკოლა
25) ლიზი თეთრაული – ქვემო ქედის სკოლა
26) გიორგი ცაბაურაშვილი – ქვემო ქედის სკოლა
27) გვანცა მაზიაშვილი – ზემო ქედის №1 სკოლა
28) ნინო ქავთარაძე – არხილოსკალოს სკოლა
29) ტატო ბენაშვილი – ეპარქიის სკოლა

ვერცხლის მედალოსნები:

1) ნინო სარდალაშვილი – ეპარქიის სკოლა
2) ლია ტოკლიკიშვილი – ეპარქიის სკოლა
3) საბა წიკლაური – დ/წყაროს №2 სკოლა
4) ბარბარე ცისკარაული – დ/წყაროს №2 სკოლა
5) ეთერ ცხვედიაშვილი – არბოშიკის სკოლა
6) დავით ხიზანიშვილი – არბოშიკის სკოლა
7) თამუნა ნანობაშვილი – არბოშიკის სკოლა
8) გვანცა ყავრელიშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა

✍ *ი ლია მარტყოფლიშვილი*

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი სიცოცხლე

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. თანამშრომლები შენობაში უკვე შევიდნენ და გახნისთვის ემზადებიან. მუზეუმის მოდერნიზაცია და ძველი შენობის თანამედროვე სტანდარტებზე მორგება ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

პროექტს „EU4ITD — ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი“ (CESL) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია დედოფლისწყაროს თვითმმართველობასთან ერთად ახორციელებს. სულ მალე მუზეუმი დამთვალიერებელს განახლებულ სივრცეში უმასპინძლებს.

გასულ კვირას დედოფლისწყაროს მერიამ მუზეუმისთვის ახალი ავეჯის შესაძენად ტენდერი გამოაცხადა, ამისათვის კი 35 000 ლარი იყო გათვალისწინებული. 21 თებერვალს გამოვლინდა გამარჯვებული, რომელიც დამკვეთს სასურველ ავეჯს ჯამში 19 800 ლარად მიაწვდის. ტენდერის შედეგად 15 000 ლარზე მეტი დაიზოგა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, საოფისე ავეჯთან ერთად მუზეუმს მიაწვდიან საგამოფენო სივრცისთვის მორგებულ და წინასწარი პროექტით განსაზღვრულ ექსპონატების თაროებს და კარადებს, ასევე მაგიდებსა და სკამებს.

შეგახსენებთ, გარდა იმისა, რომ ამ დრომდე მუზეუმი ვიზიტორებს ძველ დარბაზებში მასპინძლობდა, თაროების არარსებობის გამო დედოფლისწყაროს საგანძურის სრულად გამოფენა ვერ ხერხდებოდა. უნიკალური ექსპონატების უმრავლესობა მუდმივად დასაწყობებული იყო და მათი დამთვალიერებლებისთვის წარდგენა წლების მანძილზე ვერ ხერხდებოდა. ვითარება გაართულა იმანაც, რომ 2021 წელს კიაზო ფიცხელაურმა მის მიერ დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატები საჩუქრად გადასცა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, თუმცა, შესაბამისი საგამოფენო დარბაზების არარსებობის გამო, არ გამოფენილა.

ლალი გურასპაული (მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელი): „ვერც ვიოცნებებდით, იმდენად კარგად გაკეთდა ყველაფერი. კმაყოფილი ვართ პროცესით. უძველესი შენობაა და კოსმეტიკური რემონტიც სჭირდებოდა, მაგრამ ბევრი ისეთი პრობლემა იდგა, ძირეული რეაბილიტაციის საჭიროება იდგა და მხოლოდ კოსმეტიკური რეაბილიტაცია საკმარისი არ იყო. ყველაფერი წინასწარ გაითვალა და ივლისიდან მუზეუმი დამთვალიერებლისთვის დაიკეტა. ორ ნაწილად დაიყო სივრცე და ეტაპობრივად გაკეთდა. გამოიცვალა იატაკი, ჭერი, კარ-ფანჯარა, ელექტრო სისტემები და ყველაფერი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოეწყო. ამჟამად დალაგება-დასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობს. გადაიხურა შესასვლელი კიბე, მოეწყო პანდუსი, რითაც შშმ პირებისთვის ადაპტირებული გახდა. სავარაუდოდ, მაისში, მუზეუმების საერთაშორისო დღისთვის გავხსნით. ექსპონატები დასაწყობებული იყო, თუმცა სარემონტო სამუშაოების გამო საწყობშიც მტვერი შევიდა. აქამდე მხოლოდ სამ საგამოფენო დარბაზს ვიყენებდით, რომელთაგან 2 დარბაზის რემონტი 2021 წელს შევძელით, დიდი დარბაზი კი მოძველებული იყო. ამას გარდა, კიდევ ერთი შუა დარბაზი უფანჯროა და სიბნელის გამო ვერც მას ვიყენებდით. ელექტროსისტემებიც მწყობრიდან იყო გამოსული. ამიტომ, თუ აქამდე სამ დარბაზს ვიყენებდით, ახლა 4 სრულიად ახალი საგამოფენო დარბაზი გვექნება. თაროების უკმარისობის გამო ექსპონატების სრულად გამოფენას ვერ ვახერხებდით. ახლა ჩვენთან შეთანხმებით შეირჩა ავეჯი. რამდენიმე დღეში მოგვაწვდიან ახალ ავეჯს და დარბაზების შევსებას დავიწყებთ. გაცილებით მეტ ექსპონატს დავტევთ. გვექნება როგორც მუდმივი, ისე დროებითი გამოფენები. შეთანხმება უკვე გვაქვს, რომ დარბაზებში სამუზეუმო და არქეოლოგიური წესების დაცვით განვალაგოთ დედოფლისწყაროში სხვადასხვა დროს აღმოჩენილი საგანძური. ამაში დაგვეხმარებიან ილიაუნის პროფესორი, არქეოლოგი პაატა ბუხრაშვილი, ასევე ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელი, არქეოლოგი დავით ყვავაძე და სხვა სპეციალისტები. ყველა კუთხე კუნჭული გავთვალეთ, სად რა შეიძლება განთავსდეს. მანამდეც გვქონია რამდენიმე საგრანტო პროექტი და თანადაფინანსებით განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ ახლა ის განსხვავებაა, რომ ამჯერად ყველაფერი საფუძვლიანად გაკეთდა. ბევრს ვიბრძოდით და ვწვალობდით, რომ ამ მნიშვნელოვანი კერის თანამედროვე სტანტარტების სივრცედ გადასაქცევად ფინანსები მოგვეზიდა. ჩვენთან მდიდარი ფონდია თავმოყრილი და სათანადოდ დაცული, მაგრამ საგამოფენო სივრცით და ინფრასტრუქტურით ვერ დავიტრაბახებდით. ეს შენობა საუკუნეზე მეტისაა, მოგეხსენებათ, არ არის მუზეუმისთვის აგებული და რთული იყო მისი სტანდარტებთან მორგება. ამიერიდან თამამად ვუმასპინძლებთ უცხოელ სტუმრებს და ქართველ დამთვალიერებლებს. ჩვენი დიდი ხნის ოცნება იყო ასეთი გარემო და ბედნიერი ვარ, რომ ამისი მიღწევა მოხერხდა. მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ამ პროექტში იყო ჩართული და რომელთა ძალისხმევითაც მოხდა ჩვენი იდეებისა და სურვილების ხორცშესხმა. საბოლოო ჯამში საერთო საქმე გაკეთდა. აქ ჩამოსული ტურისტების დიდი ნაწილი პირველ რიგში ჩვენთან მოდის, ამიტომ მუზეუმში სათანადო გარემო უნდა იყოს, რადგან პირველი შთაბეჭდილება მნიშვნელოვანია“.

✍ *ი ლია მარტყოფლიშვილი*

რვა შვილის დედა არხილოსკალოდან

არხილოსკალოში მცხოვრები მარინა (ნელი) წიკლაური ექვსი შვილის დედაა, რომელმაც ორი შვილი ნაადრევად დაკარგა, თუმცა კიდევ ორი ბიჭის აღზრდა საკუთარ თავზე აიღო და თავს რვა შვილის დედად მიიჩნევს. სოფლის გაძლიერებისთვისაც იბრძვის და არაერთ პროექტს ახორციელებს. გაზეთი „შირაქი“ გიამბობთ, როგორია მრავალშვილიანი დედის ცხოვრება სოფლად...

მარინა (ნელი) წიკლაური: „დავიბადე არხილოსკალოში დიდ, ხუთშვილიან ოჯახში, სადაც მე და ჩემი და-ძმები პაპა-ბებიასთან ვიზრდებოდით. გაგვიმართლა, რომ ისინი გვყავდნენ თავისი ღირსებითა და შინაგანი ღირებულებებით. მათი ანდაზები და მითები პაპას მუხლზე მოყოლილი ამბებია და „დღესაც ვეფიცხები მათი მოგონებების მზეს“. ამიტომ არის ჩემი ბავშვობა მრავალფერადი. იქ მთელი სამყაროა და მგონია, რომ ეს მაძლიერებს. ახლა, როცა ჩემს თანასოფლელებს, უხუცესებს და ჩემზე უფროსებს ვხვდები, მათთან ვეძებ სითბოს და სიყვარულს, რომელიც ბავშვობიდან გამომყვა (თურმე ამ ასაკშიც ასე ძალიან გვჭირდება) და ჩვენ ერთმანეთს ვუცვლით ამ გრძნობებს. ისინი საინტერესო ამბებით, წარსული მოგონებებით მითბობენ სულს. ამიტომ, ვთვლი, რომ ჩვენი სოფელში ცხოვრება სწორი გადაწყვეტილება იყო.

კარგა ხანს ჩემი სოფლის სკოლაში ვმასწავლებლობდი. მასწავლებლობა ღვთისაგან ბოძებული ნიჭი მგონია და ვერც შევადრი სხვა რამეს, მაგრამ 1986 წელს ჩემი პირველი შვილი თაია დაიბადა და ჩემთვის დედობა იქცა უპირველესად. მე კი მგონია, ჩემი დიდი ოჯახის, ანუ ჩემი შვილების მასწავლებელი გავხდი. თაია უფროსი შვილია და დაბადებიდან ჩემი მეგობარი გახდა. ის ჩემთან ერთად ზრუნავდა ყველაზე და ყოველთვის.

მადლობელი ვარ სამყაროსი, რომ მე ერეკლეს დედა ვარ. საერთოდ, თუ რამეს ვაკეთებ, ყველაფერი ერეკლეს დამსახურებაა. თითოეულ ჩემს ნაბიჯსა და ფიქრში მინდა მისი სურვილი გავაცოცხლო და განვახორციელო. ბავშვების მხრიდან სოფლის უსაზღვრო მონატრებამ, თბილისიდან უკან დაგვაბრუნა. „ჩვენ მიწა გავანადგურეთ და თუ გვინდა გადავრჩეთ, ჯერ მიწა უნდა გადავარჩინოთ. ადამიანებმა ომი გავაჩაღეთ ბუნებასთან. ჩვენი წინაპრები კი შხამებით არ ანადგურებდნენ მიწას,“ — ამბობდა ჩემი ერეკლე.

„დედამიწა გვეძახის“ - ღიმილით ნათქვამ ამ სიტყვებში ტევდა ერეკლე ქალაქიდან სოფელში მოულოდნელად და ხშირად ჩამორბენის მიზეზს. მას სჯეროდა და ჩვენც გვაჯერებდა, რომ შევძლებდით მიკროკლიმატის შეცვლას, თუ ხეების ქვეშ დავრგავდით მცენარეებს. რგავდა და ცდიდა ახალი ჯიშის მცენარეებს გლედიჩიას, წყავს, ფშატს, გოჯებერს, ფისტას, პავლონიას, არღავანს, გლიცინიას და თესავდა სამყურას, იონჯას, სოიოს, ამარანტს. ეს კულტურები მან ჩამოიტანა ჩვენს ბაღში, გვისახსოვრა და დღესაც ლაღად ხარობენ. თვითონ გამოიყვანა ფისტას ნერგები, აკალმებდა ბროწეულებს, თხილს და ხეებზე უშვებდა ვაზს. მადლობა უფალს, რომ მე და ერეკლე ამ სამყაროში ერთმანეთს შევხვდით. ის გრემის ბავშვთა სახლში მოხალისედ მასწავლებლობდა. იქ შეძენილი მეგობრები დღესაც სიხარულით გვსტუმრობენ. მასთან ერთად გრემში იყო მისი და ნანუკა ჭინჭარაულიც. იქ ჩაიყვანეს ალუდა ქეთელაურიც და ერთად საინტერესო გაკვეთილებს ატარებდნენ ბავშვთა სახლის შშმ ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის. ლაშქრავდნენ გრემის მიდამოებს. რამდენიმე დღე არხილოსკალოშიც ჩამოჰყავდა, ვაშლოვანის ნაკრძალშიც ჰყავდა. სწორედ მაშინ გაუჩნდა სურვილი, გრემის ბავშვთა სახლის რამდენიმე აღსაზრდელს ჩვენს სახლში ეცხოვრა. მაშინ ეს ვერ მოხერხდა.

გავიდა წლები და ჩვენთან მოვიდა ველი მამედოვი, რომელიც დღემდე ჩვენთან ცხოვრობს ძმასთან ერთად. ეს ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია. ერეკლე თვლიდა, რომ თუ ჩვენი საცხოვრებელი სახლი ვინმეს გამოადგებოდა, თავისუფლად შეეძლოთ მისი გამოყენება. ამ პატარა ბიჭებს კი სწავლა უნდოდათ და ჩვენი დახმარებით ეს შესაძლებლობა მიეცათ. ბედნიერი ვარ, თუ მე შევძელი მათი დახმარება.

— როდის და როგორ აღმოჩნდნენ აზერბაიჯანელი ძმები თქვენს ოჯახში?

— 2014 წლის ნოემბერში, ერთ დღესაც ეს ბავშვი შეიყვანეს არხილოსკალოს სკოლაში. თუმცა ხმები დადიოდა, რომ გაურკვეველი იყო, როგორ მოახერხებდნენ მის სკოლაში მუდმივად ტარებას. ოჯახს უჭირდა და არ ჰქონდათ შესაძლებლობა მისი განათლებისთვის ხელი შეეწყოთ. მე ღიად გამოვხატე, რომ ძალიან გვინდოდა ასეთი ბავშვი გვყოლოდა და ვეძებდით. იმავე საღამოს ბავშვების მამა ჩვენთან სახლში მოვიდა და გვითხრა, რომ უნდოდა ბავშვები ჩვენთან დაეტოვებინა. ჩვენც სიამოვნებით დავთანხმდით, რომ ჩაგვებარებინა და მათზე გვეზრუნა, განათლებაში ხელი უსასყიდლოდ შეგვეწყო. პირველად ველი ჩვენთან რომ მოიყვანეს, ქართული წერა-კითხვა არ იცოდა. ზოგჯერ დედას სახელით მიმართავს, მე კი ყოველთვის დედას მიწოდებს. აქ ისე მიეჩვია, მშობლები რომ მოვიდოდნენ აღარც შეხედავდა ხოლმე და შაბათ-კვირა წასვლაც აღარ უნდოდა, სულ აქ ყოფნა მოსწონდა. უმცროსმა ქართული კი არა, ლაპარაკიც არ იცოდა. ის სოფლის ბაღში მივიყვანეთ და რომ გაიზარდა ძმის მსგავსად მანაც ჩვენთან დარჩენა მოინდომა.

მათი სურვილი იყო ქართულ სკოლაში ევლოთ და ქართული ესწავლათ. ორივე თბილი საოცრად მეგობრული ბავშვები არიან. კარგი დამოკიდებულება აქვთ მეგობრებთან. ზოგს არ ესმოდა, რატომ ვაკეთებდი ამას, მე კი არ მესმის, რატომ არ უნდა შევუწყო ხელი პატარებს ქართული ენის სწავლაში და განათლების მიღებაში. ან ამაში რატომ უნდა მოვითხოვო ჯამაგირი. ეს ჩემი შინაგანი სურვილი და მოთხოვნილებაა. ისინი სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე გავზარდე, არანაირი ოფიციალური დოკუმენტი არ გაგვიფორმებია, არც მინდობით აღზრდის, ან სხვა სახელმწიფო პროგრამებით არ ვსარგებლობთ. საკუთარი ხარჯებითა და სურვილით ვაკეთებ. არც მშობლები იხდიან რამეს, როცა ახლოს ცხოვრობდნენ მოდიოდნენ ხოლმე და 3 წელზე მეტია ჯერ ლაგოდეხში გადავიდნენ სამუშაოდ, შემდეგ სიღნაღში და ახლა წელიწადში ორჯერ თუ ახერხებენ მშობლების ნახვას.

ერთხელ მე და პატარა გოგონა ეკლესიაში წირვაზე მივდიოდით, ბიჭებს გული სწყდებოდათ, რომ სახლში რჩებოდნენ. რაკი მუსლიმები არიან მამამისს დავურეკე, ავუხსენი და მითხრა უკეთეს ადგილას სად წაიყვან, ისინიც გაიყოლეო. **ყველა უნდა მივიდეს ღმერთის სახლშიო. მას გიგლიაც წაკითხული აქვს და მიიჩნევს, რომ ბიჭებს რომელი რელიგიაც მოუნდებათ, არჩევანის თავისუფლება ექნებათ.** ახლა ველი მე-12 კლასშია, კარგად სწავლობს და უმაღლესი განათლებისთვის ემზადება. რა პროფესიას აირჩევს, ჯერ არ

ნიჯათ და ველი მამედოვები

გადაუწყვეტია, მაგრამ აბიტურიენტია და გამოცდებისთვის ემზადება. IX-ე კლასშია ნიჯათი, ჭკვიანი და საკმაოდ მიზანდასახულია.

ჩვენ გვყავს ასევე მირანდა და თაია - ისინი ჩვენი მზეები არიან. ასევე გვყავდა ანა.... მან საოცრად ლამაზი დღეები და მოგონებები დაგვიტოვა. მჯერა, რომ არ დაბადებას დაბადება სჯობს, ჩვენ დღესაც გვაბედნიერებს ანას ამბების გახსენება. ანა მეოთხე შვილი იყო, რომელიც 1995 წლის 9 ოქტომბერს დაიბადა. ერთ ზაფხულს ხევსურეთში ვისვენებდით და მუდმივად სციოდა. როდესაც დავბრუნდით და გამოვიკვლიეთ, ლეიკემია დაუდგინდა. წელინადნახევარი ვიბრძოლეთ და განიკურნა. თუმცა, 8 თვეში რეციდივი განიცადა და განმეორდა. შემდეგ ძეგვის მონასტერში ვიცხოვრეთ, მისი სურვილების და ოცნებების ასრულებას ვცდილობდით. ჯერ ანა და მასზე უმცროსი 3 წლის მირანდა წავიყვანე. შემდეგ არდადეგებზე დანარჩენებიც შემოგვიერთდნენ. ეს პერიოდი ჩვენთვისაც და ანასთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი და ბევრისმომცემი იყო. იქ რომ არ წავსულიყავით, ვფიქრობ ძალიან გაგვიჭირდებოდა. 4 თვე ზღაპრულ გარემოში გავატარეთ, ფაქტობრივად არც გვიგრძვნია მისი დიაგნოზი. ყველა მისი გუნება-განწყობის ამაღლებაზე ზრუნავდა და ერთიანი ძალებით გადავიტანეთ ეს რთული დღეები. ცხენზე ჯდომა იყო, თუ ბუნებასთან სიახლოვე, რაც უნდოდა ყველაფრის ასრულება შეძლო. ბოლოს ყველას გასაოცრად ეკლესიაში გალობა დაიწყო და სრულიად შემთხვევით 7 წლის ასაკში საოცარი ხმა ამოუშვა. არ ვიცოდით მისი ამ შესაძლებლობის შესახებ და ყველა გაგვაოცა. გვეკითხებოდნენ, ოჯახში ვის ჰქონდა მუსიკალური მონაცემები, რომ ეს ნიჭი გამოავლინა. სამწუხაროდ, 2002 წლის 30 დეკემბერს გარდაიცვალა და არხილოსკალოშია დაკრძალული. ერეკლე IX კლასში იყო, როცა გამოაცხადა, ანას ბაღში მივდივართო. ამის შემდეგ საფლავს ანას ბაღი დავარქვით და ყველა ხალისით მივდიოდით, აღარ გვიჭირდა იქ წასვლა. ანას გარდაცვალების შემდეგ ბავშებმა სულ შეცვალეს ცხოვრების წესი. ერეკლეს სურვილი და მიზანიც შემდეგ ეს იყო, რომ გრემის ბავშვთა სახლში მასწავლებლად წავიდა. ეს ყველაფერი ძეგვის ბავშვთა სახლის გავლენა იყო, ბავშვებთან მეგობრობას აგრძელებდნენ.

— რა როლი აქვს დედას შვილების აღზრდის პროცესში?

— მთავარია რწმენა. უნდა გწამდეს და გჯეროდეს მათი და ანალოგიურად მათაც მშობლის რწმენა უნდა ჰქონდეთ. ისეთი ურთიერთობა უნდა დამყარდეს დედა-შვილს შორის, რომ არ იყოს გაუცხოება. ერთმანეთის უნდა გჯეროდეთ. ხშირად ვესაუბრებოდი გენეალოგიაზე, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან. ვხატავდით გენეალოგიურ ხეს და ვყვებოდი ამბებს. ამის გამო ბავშვები ძალიან გახსნილები იყვნენ. ჩვენ ერთმანეთთან დასამალი არაფერი გვქონდა. ახლა რომ ვხედავ, ხშირია პრობლემა შვილებსა და მშობლებს შორის. ზოგჯერ მშობლებმა არ იციან შილების ტკივილი. არადა, რანაირად შეიძლება მშობლებსა და შვილებს შორის დაძაბულობა იყოს? ბავშვს ხშირად უნდა ესაუბრო, ყურადღება აგრძნობინო და გაულამაზო ცხოვრება.

— სანამ არხილოსკალოში „ცოდნის სახლს“ გახსნიდით, პედაგოგიურ საქმიანობას მანამდეც ეწეოდით...

— დაახლოებით 10 წლის წინ ჩემს უმცროს შვილსაც და ველისაც ხატვის შესწავლა უნდოდათ, მაგრამ არც სკოლაში ისწავლებოდა და არც ამ სოფლებში იყო მსგავსი წრე. ამიტომ, დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლაში აკაკი მერაბიშვილთან წავედი. მან კი მითხრა, რაიონში სიარული გაუჭირდებათ, ამიტომ ზემო ქედში მცხოვრებ დათო მაღალაშვილის დამსახურებით გაიხსნა ეს სკოლა და აჯობებს თუ მას მიმართავო. შევხვდი მასაც, ვუთხარი, არხილოსკალოში შენობას დაგითმობთ მეთქი და ერთობლივი ძალისხმევით ხატვის წრე გავხსენით. 16 ბავშვი დადიოდა და თითქმის ორი წელი იმუშავეს. ბევრი კარგი ნახატი შექმნეს. გამოფენაც გვქონდა. შემდეგ დაიშალდნენ, მაგრამ დღემდე მეგობრობენ. ამ ურთიერთობებმა გააჩინა სურვილი, რომ არხილოსკალოში სხვა საგანმანათლებლო სივრცე შექმნილიყო, სადაც სხვადასხვა სახის აქტივობები განხორციელდებოდა. ასე დაიბადა „ცოდნის სახლის“ იდეა, რომელიც საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა და 2019 წელს გავხსენით. მინდა გითხრათ, რომ ჩემმა ჩანაფიქრმა გაამართლა, რა იდეაც ჩავდე, ნამდვილად შეასრულა ის ფუნქცია. ბევრი კარგი საღამო შედგა და სოფელი ნამდვილად გამოაცოცხლა. ბოლო წლებში აზერბაიჯანელი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროექტი განვახორციელეთ, 12 ბავშვი მოგროვდა ახლოს მდებარე ფერმებიდან და სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობები უტარდებოდათ. 6 თვის განმავლობაში გაგრძელდა პროექტი, რომელიც კვებასაც ითვალისწინებდა. უამრავი კარგი წიგნი გვაქვს „ცოდნის სახლში“, ბევრიც შემოწირულობის სახით მივიღეთ, ზოგიც პროექტის ფარგლებში შეგვიძინეს. უამრავი თვალსაჩინოება გვაქვს და მომავალშიც აქტიურად გამოვიყენებთ. ზამთარში გათბობა არ გვაქვს და იმდენად ვერ ვაქტიურობთ, სხვა სეზონზე ხშირად გვაქვს შეხვედრები. ვცდილობთ, სოფელი უფრო გავააქტიუროთ.

ილია მარტყოფლიშვილი

საქართველოს ოკუპაციის 70 წლიანი ისტორიის დასაწყისი

ჟაკ ლე გოფის სიტყვით, „მეხსიერება იკვებება ისტორიით და, ამავე დროს, ამარაგებს მას საწვავით. იგი ესწრაფვის წარსულის შენახვას, რათა ემსახუროს აწმყოსა და მომავალს“. ჯორჯ ორუელის მიხედვით, „ვინც აკონტროლებს წარსულს, აკონტროლებს მომავალსაც“. ყველაზე გონიერი დამპყრობელი კი ისტორიას და წარსულს გართმევს, ვინაიდან ასეთ საზოგადოებას დასაყრდენი ეცლება და ვერ ახერხებს ბორკილებისგან გათავისუფლებას. 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წითელმა არმიამ დაიპყრო და იგი მალე საბჭოთა კავშირის ნაწილად აქცია. ამას არ დასჯერდა ტოტალიტარი მმართველი და ყველა შესაძლო საშუალებით საქართველოს უახლესი ისტორიის გაუფერულებას შეეცადა.

რა უძღოდა წინ საბჭოთა ოკუპაციას?

1921 წლის ოკუპაციას, წინ უძღოდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება. დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო ვითარება რთული იყო. მის დაკარგვას რუსეთი ვერ ეგუებოდა და ყველანაირად ცდილობდა, საქართველო კვლავ თავის შემადგენლობაში დაებრუნებინა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა კი ყოველ ღონეს ხმარობდა, ბოლშევიკურ რუსეთთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა.

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ბოლშევიკურ რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ხელშეკრულებით, რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა და მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ვალდებულებას იღებდა. მაგრამ, ამას რუსეთისათვის ხელი არ შეუშლია საქართველოს საზღვრები გადმოელახა და ქვეყანა დაეპყრო. ქვეყნის დასაპყრობად მზადება კარგა ხანს მიმდინარეობდა, რასაც მოსკოვში უშუალოდ სტალინი ხელმძღვანელობდა, ამიერკავკასიაში კი ამ საქმის მეთაური და შემსრულებელი სერგო ორჯონიკიძე იყო.

1920 წელს ორჯონიკიძემ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია, იძულებული გახდა, უკან დაეხია და საქართველოს გასაბჭოებაზე დროებით უარი ეთქვა. მაგრამ, საჭიროდ ჩათვალა კიდევ ერთხელ აეხსნა მოსკოვისთვის თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ოკუპაციას რუსეთისთვის, ამიტომ ლენინს, სტალინს და ჩიჩერინს წერდა:

„თუ საქართველოს არ დავეუფლეთ, თითქმის შეუძლებელი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ აზერბაიჯანი საბჭოთა რუსეთის იყოს...საქართველო სამხრეთში კონტრრევოლუციურ კერად იქცა, უთუოდ განუწყვეტლივ ასაზრდოებს კონტრრევოლუციას ჩრდილო კავკასიაში. თუ საქართველოს დავეუფლებით, ინგლისელებს გავაპანღურებთ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან და გზას გავხსნით თურქეთისაკენ.“

1921 წლის იანვარში რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია საბოლოოდ გადაწყვიტა. საომარი ოპერაციები საქართველოსა და რუსეთს შორის 12 თებერვალს დაიწყო. 15 თებერვალს კი, სერგო ორჯონიკიძეს სტალინმა აცნობა, რომ დაუყოვნებლივ დაეკავებინა თბილისი. „წითელი არმია საქართველოში უნდა შემოსულიყო ვითომ საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებული მუშების დასახმარებლად. აჯანყების ადგილად შეირჩა ლორეს ნეიტრალური ტერიტორია, რომელიც 1918 წლიდან სადავო იყო საქართველოსა და სომხეთს შორის.“

16 თებერვალს, მე-11 წითელი არმიის 96-ე, მე-60 და მე-20 მსროლელთა ბრიგადის პოლკები, სოფელ შულავერში შევიდნენ. შულავერის კომიტეტში სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ბუდუ მდივანი და სხვა ქართველი ბოლშევიკები შედიოდნენ. 17 თებერვალს საქართველოს არმიას სათავეში გენერალი კვინიტაძე ჩაუდგა. 17 თებერვალსვე ბრძოლაში იუნკრები ჩაერთნენ. ისინი თბილისის მისადგომებს იცავდნენ. პირველი იერიშის მოგერიება იუნკრებს საბრძოლო პოზიციებზე ასვლისთანავე მოუწიათ. იუნკერთა პოზიციების გარღვევა მეთერთმეტე არმიამ ვერც ბაქოელი კურსანტებისა და ვერც პირველი ქართველი კომკავშირელის, ბორის ძნელაძის გარჯის შედეგად მოახერხა. ალექსანდრე ჩხეიძის მეთაურობით ქართველი იუნკრები 10 დღის განმავლობაში კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში იგერიებდნენ ბოლშევიკთა შემოტევებს, რამდენჯერმე იერიშზეც გადავიდნენ, თბილისის კარიბჭემდე იოლად მოღწეულ მტერს მნიშვნელოვანი სიმაღლეები წაართვეს და რუსები აიძულეს უკან დაეხიათ.

„ლომებივით იბრძვიან იუნკრები ყველა ნაწილებიდან. იუნკრები ყველაზე მედგრად და განუწყვეტლივ ამაგრებენ ფრონტს...ისინი ჩაუსაფრდებიან წუნკალა მტერს და მთელი დღე-ღამეს, როგორც ზღვის ტალღებს, უკუაქცევენ ბოლშევიკების იერიშებს...“-რეზო გაბაშვილის რეპორტაჟი უშუალოდ ფრონტის ხაზიდან.

1921 წლის 18 თებერვალს დაიწყო წითელი არმიის იერიში თბილისზე. თბილისის ასაღებად ჯერ კიდევ 11 თებერვალს დაძრული რუსეთის მე-11 წითელ არმიას ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და მოხალისეები თბილისის მისადგომებთან გადაუდგნენ წინ. ***„დედაქალაქის მთელი მოსწავლე-ახალგაზრდობა, როგორც სტუდენტობა, ისე საშუალო სასწავლებლების უფროსი კლასების მონაფეები ფრონტზე არიან და აღუწერელი გმირობით იბრძვიან. ჯერ არავის ახსოვს ასეთი პატრიოტული აღფრთოვანება და დაუზოგავი თავგანწირვა“.*** მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ კი ქართული შეიარაღებული ძალები თბილისის დასაცავად შემდეგნაირად განალაგა: მარჯვენა ფლანგზე -კოჯორ მანგლისის გზატკეცილზე, თეთრი დუქნიდან აზეულას (ქორ-ოღლის) ციხემდე მე-4 ათასეული იდგა. ტაბახმელას მონაკვეთი სამხედრო სკოლას ეკავა. ცენტრში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ნაწილები იყო: შავნაბადას სიმაღლეები მე-9 ათასეულს ეკავა. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რკინიგზის ხაზამდე გვარდიის გორისა და ხაშურის ბატალიონები იყო. მარცხენა ფლანგზე - გვარდიის ნაწილები იდგა, გენერალ არტემ ჯიჯიხიას მეთაურობით.

20 და 21 თებერვალს გაზეთი „ერთობა“ წერდა: „ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა მტრის მარცხენა ფრთისკენ - კოჯორისა და ტაბახმელას სიმაღლეებზე და მარჯვენა ფრთისკენ სადგურ ვაზიანის რაიონში. ამ ძალების ლიკვიდაციით ტფილისს სრულიად ეხსნება ალყა, ტფილისი გადარჩენილია და პირდაპირი საფრთხე მოკლე დროში მას აღარ მოელის.“

22 თებერვალს შემოტევა დაიწყო დარიალის მხრიდან, თუმცა, ქართველმა მეომრებმა ხიდი ააფეთქეს და მოწინააღმდეგის პირველი იერიში მოიგერიეს. ამ მიმართულებით მოქმედ ქართულ ჯარს პოლკოვნიკი სიმონ წერეთელი ხელმძღვანელობდა.

23 თებერვალს რუსეთთან ომში დაცემული მეომრები თბილისში, რუსთაველზე, სამხედრო ტაძრის ეზოში, საძმო საფლავში დაკრძალეს. „1921 წლის 23 თებერვალს, უფროსკლასელები დილიდანვე დიდი მთავრის ქუჩაზე, მორგში წაგვიყვანეს, სადაც კოჯორში დახოცილი ქართველები იყვნენ ჩამოსვენებულნი. 11 კუბო, 11 რჩეული ვაჟკაცი. პროცესიას სამღვდელოება კათოლიკოს ლეონიდეს წინამძღოლობით წარუძღვა. კუბოებს სტუდენტები მოასვენებდნენ. ვერის ხიდით ახლანდელ რუსთაველის მოედანზე ამოვედით. მოედანი ხალხით გაივსო, ასე მივაცილეთ ტაძრამდე მებრძოლნი“ - იხსენებს პუბლიცისტი ანტონ კელენჯერიძე.

საბედისწერო ბრძანება თბილისის დატოვების და მცხეთის მიმართულებით უკან დახევის შესახებ, 24 თებერვალს ღამით გაიცა. მოგონებები ბრძოლის ველიდან:

„25 თებერვლის ღამეა. ტაბახმელაზე საშინელი ქარი ქრის. ხვეტავს და პირში გვაყრის ხორხოშელასა და თოვლს. თხელ ფარაჯებში გახვეულნი, გაყინულნი, გულდასმით ვდარაჯობთ კუთვნილ სივრცეს. სასროლად გამზადებული თოფები ხელში გვიჭირავს. ოთხნი ვართ: მათიკაშვილი, სომხიანცი, ანდრონიკაშვილი, ლომკაცი, 21 წელს არც ერთი ვართ გადაცილებულნი, ტანითაც დაბალი და სუსტი აგებულებისანი ვართ, ყველაზე ჯმუხი აგებულებისაა სომხიანცი, ქართველთა ერთგული და გულადი სომეხი“ - მთავრობამ დატოვა თბილისი. 25 თებერვალს დედაქალაქში რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ. დღევანდელ თავისუფლების მოედანზე, ამჟამინდელ საკრებულოს შენობასთან კომუნისტებით სავსე პირველი სამხედრო მანქანა დადგა. ბაქოდან სერგო ორჯონიკიძემ კი ლენინს დეპეშით აცნობა: „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას“.

26 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების მეორე დღეს, ქალაქის მოსახლეობამ რუსთაველის გამზირზე უზარმაზარი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო. წითელმა არმიამ კი 25 თებერვლიდან 17 მარტამდე საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებიც დაიკავა. საქართველოს მთავრობის წევრთა დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გაიხიზნა. ასე



დაიწყო საქართველოს ოკუპაციის 70-წლიანი ისტორია.

მთელი საბჭოთა პერიოდი საქართველოსთვის ხასიათდებოდა სისტემატური რეპრესიებით, ეროვნული იდენტობის, კულტურის და ენის შეზღუდვით, ძალადობრივი კოლექტივიზაციისა და ეკონომიკური ექსპლუატაციით. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა საქართველოში შეექმნა ძლიერი კომუნისტური სახელმწიფო, რის შედეგადაც ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება გახდა მთლიანად რუსეთის სოციალისტურ მთავრობას მორგებული.

საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის ძირითადი მოვლენები:

1.საპარლამენტო ბრძოლა და საბჭოთა თავდასხმა (1921): საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა საბჭოთა რეპრესიის წინაშე წარუმატებელი აღმოჩნდა. 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოზე თავდასხმა, რამაც გამოიწვია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება.

2.საქართველოს „მიტაცება“ და სოციალიზაცია: საბჭოთა მთავრობის მიერ დაიწყო მკაცრი პოლიტიკის გატარება, რომელიც მიზნად საქართველოს სოციალიზაციას და კომუნისტური სისტემის დამკვიდრებას ისახავდა. გლეხებს სავალდებულო კოლექტივიზაცია აიძულეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბევრი მათგანი მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობებში სამუშაო ძალად გადაიქცა.

3.სტალინიზმი და რეპრესიები: განსაკუთრებით ცნობილი იყო სტალინის პერიოდი (1924-1953), მასობრივი რეპრესიები, რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა საქართველოზე. ეს პერიოდი გამოირჩევა დიდი რაოდენობით გადასახლებებით, ადამიანის უფლებების დარღვევებით, იდეური წინააღმდეგობის ჩახშობით. უამრავი ქართველი მწერალი, პოლიტიკოსი და ინტელექტუალი გადაასახლეს ან დახვრიტეს.

4.ამერიკასა და დასავლეთის მიმართ დამოკიდებულება: მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რეჟიმი იყო მკაცრი და ბიუროკრატიული, საქართველომ გარკვეული ეკონომიკური განვითარება მაინც განიცადა. საბჭოთა გაერთიანებულ რესპუბლიკებს შორის არსებობდა შიდა დაპირისპირებებიც.

5.საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს საქართველომ აღადგინა დამოუკიდებლობა.

1921 წლის 25 თებერვლის საბჭოთა ოკუპაციის შესახებ ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტია ცნობილი, თუმცა, არსებობს რამდენიმე შედარებით ნაკლებად ცნობილი დეტალი, რომლებიც უფრო ღრმა და კომპლექსურ სახეს აძლევს იმ მოვლენებს:

1. „თამარაშვილის“ წინააღმდეგობის ბრძოლა

1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობა და ძალები ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ საბჭოთა რუსეთიდან შემოსულ არმიას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ და არმიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ბოლშევიკებს, მათ არ ჰქონდათ საკმარისი რესურსი და სერიოზული სამხედრო მხარდაჭერა. შრომისა და რესურსების სიმცირემ გავლენა იქონია სამხედრო ტაქტიკაზე და ქართულმა არმიამ უკან დახევა დაიწყო. თუმცა, საქართველოს ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებში ბრძოლა გაგრძელდა. ამ ბრძოლების ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი ეპიზოდი იყო პირველი წინააღმდეგობა, რომელსაც „თამარაშვილის ბრძოლას“ უწოდებდნენ, რომელიც თბილისთან ახლოს მოხდა. ამ ბრძოლასთან დაკავშირებით მეტი კონკრეტული დეტალი არ არის ფართოდ ცნობილი, რადგან მაშინდელი ქართული დოკუმენტები ნაწილობრივ დაკარგულია.

2. გამოცდილი გენერალი შალვა ჯავახიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არმიის ხელმძღვანელობას არ ჰქონდა საკმარისი რესურსები, 1921 წლის ოკუპაციამდე, ერთ-ერთი მთავარი სამხედრო ფიგურა გენერალი შალვა ჯავახიშვილი იყო, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას აქტიურად შეუერთდა. იგი ითვლებოდა ერთ-ერთ ძლიერ სამხედრო ლიდერად, თუმცა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი როლი და სამხედრო სტრატეგია ნაკლებად არის დოკუმენტირებული.

3. დაპირისპირება ქართველ კომუნისტებს შორის

სანამ 1921 წელს საბჭოთა ოკუპაცია ბოლოს მოუღებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, სხვადასხვა ჯგუფები, მათ შორის კომუნისტები, საკუთარ მიზნებს ღიად აცხადებდნენ. თბილისის კომუნისტური ფრთა დაყოფილი იყო და ბევრი მათგანი არ ეთანხმებოდა საბჭოთა რუსეთთან ალიანსის შექმნას. ეს დაპირისპირება ფართოდ არ არის განხილული, თუმცა, ეს შეიძლება ყოფილიყო საბჭოთა ძალების წარმატების შემასუსტებელი ფაქტორი.

4. საბჭოთა მობილიზაცია და დამხმარე ძალები

საბჭოთა არმიამ არ მხოლოდ რუსეთიდან ჩამოიყვანა არმია, დამხმარე ძალები სხვა რესპუბლიკებისაგანაც შემოვიდა. მათ შორის უკრაინისა და ბალტიისპირეთისა. ერთ-ერთი მეტად უცნობი ფაქტი ისაა, რომ სწორედ ეს დახმარება და რუსულ-ბალტიური მარშრუტები გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საბჭოთა ჯარმა საქართველოს წინააღმდეგ სრულფასოვანი ოპერაციის განხორციელება შეძლო.

5. „ჩეხოსლოვაკიის გავლენა“

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ჩეხოსლოვაკია დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, მათი მხრიდან გარკვეული მხარდაჭერა საქართველომ მაინც მიიღო. დახმარება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდანაც მიიღო ბრძოლაში ჩართულმა ქვეყნებმა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ იყო რამდენიმე ჩეხოსლოვაკი მარშალი, რომელთა პოზიცია დიდი იმპერიული მოთამაშეებისა და ტრანსნაციონალური პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა.

6. სახელმწიფო გადატრიალება და მტკიცება

ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაიწყო „სახელმწიფო გადატრიალებების“ მოწყობა. ეს პროცესები ბოლშევიკების მიერ წარმოებული რევოლუციური მოქმედებების ნაწილია, რომელიც რეგიონებში გამოიხატა როგორც უშუალო ძალადობა და რეპრესიები. თუმცა, ბევრ შიდა პოლიტიკურ მოთამაშეს არ სურდა სრული გადადგომა, რამაც დაძაბული სიტუაცია შექმნა.

7. გერმანული მოკავშირეები და ერთობლივი პოზიცია

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთს დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, საქართველო და მისი მოკავშირეები სხვა ქვეყნებიდან, მათ შორის გერმანია, ადგილობრივ მმართველობას მუდმივად მხარს უჭერდნენ. ეს ნაწილობრივ გამოჩნდა 1920-1921 წლების პერიოდშიც, როცა გერმანელები ცდილობდნენ, საქართველოს შიდა პოლიტიკაში გაემყარებინათ საკუთარი გავლენა.

8. ტყვეები და გადასახლებები

საბჭოთა არმიის მიერ დაკავებული ტყვეებიდან ბევრი არასამართლიანად დახვრიტეს. 1921 წელს უამრავი ქართველი პოლიტიკური ლიდერი, ჯარისკაცი და ჩვეულებრივი მოქალაქე გადაიყვანეს საგანგებო საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც ისინი გადაგზავნილ იქნენ საბჭოთა ძალების მიერ.

ეს ის ნაკლებად ცნობილი ფაქტებია, რომლებიც გვიჩვენებენ იმ რთულ და მტკივნეულ პროცესს, რაც საქართველოს საბჭოთა ოკუპაციამდე და შემდეგ განვითარდა.

1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, თავისი შედეგებით, ერთ-ერთი ტრაგიკული მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. ის უკავშირდება კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ მღელვარებებს, რომლებიც გავლენას ახდენდა არა მხოლოდ მე-20 საუკუნის საქართველოში მიმდინარე ცხოვრებაზე, არამედ ქვეყნის მომავალი დამოუკიდებლობის პროცესზეც.

მოამზადა

✍ ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ბრუცელოზის სკრინინგი მოსახლეობაში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრმა დაავადებათაკონტროლის ცენტრის ეპიდემიოლოგებთან და ლუგარის ლაბორატორიის წარმომადგენლებთან ერთად 25 თებერვალს ბრუცელოზის სკრინინგი მოსახლეობაში ჩაატარა.

სკრინინგში მონაწილეობა მიიღო 35-მა მოქალაქემ. მათ შორის პედაგოგებმა, მედპერსონამა და მოქალაქეებმა, რომლებსაც ჰყავთ საქონელი. სკრინინგის შედეგები 10 დღეში იქნება ცნობილი.

ბრუცელოზი საქართველოში ენდემური დაავადებაა. მისი კერები უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება, კერძოდ კახეთში და უფრო კონკრეტულად ახმეტა, საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს რაიონში, სადაც სოფლის მეურნეობის დარგი, მესაქონლეობაა კარგად განვითარებული. 2024 წელს დედოფლისწყაროში დაფიქსირდა 3 შემთხვევა. 2025 წელს დღეის მდგომარეობით დადასტურებულია - 1 შემთხვევა.

ბრუცელოზის წყაროა სასოფლო-სამეურნეო ცხოველები: ცხვრები, თხები, ძროხები, ღორები, ცხენები.

ადამიანის ბრუცელოზით დაავადების მიზეზი ხდება უმეტესად თერმულად არასკმარისად დამუშავებული რძე, რძის პროდუქტების, ხორცის საკვებად გამოყენება. ინფიცირებულ ცხოველურ პროდუქტებთან კონტაქტისა და მოვლა-პატრონობისას.

დღემდე ადამიანების ბრუცელოზის პრევენციისათვის, ვაქცინაცია არ ტარდება, მაგრამ გაძლიერებულია ვეტერინარული ზედამხედველობა და ცხოველთა ვაქცინაცია ტარდება უსაფრთხო და მაღალი დამცველობითი თვისების მქონე ვაქცინით.

ბრუცელოზით დაავადების თავიდან ასაცილებლად ჩვენი რეკომენდაციაა:

1. შიდამეურნეობებსა და ფერმებში დასაქმებულმა პირებმა მიაქციონ ყურადღება საქონლის ვაქცინაციას. გაიზარდოს ბრუცელოზით ვაქცინირებულ ცხოველთა პროცენტული მაჩვენებელი.

2. არ უნდა მოხდეს თერმულად არასაკმარისად დამუშავებული რძის და რძის პროდუქტების, ხორცის საკვებად მიღება.

3. პირადი უსაფრთხოების წესების დაცვა, სპეციალური ტანსაცმლის გამოყენება ცხოველებთან და ცხოველურ პროდუქტებთან კონტაქტისას.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ზემო მაჩხაანის მხარდაჭერა გურიაში სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს

26-27 თებერვალს ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში მასშტაბური ჰუმანიტარული აქცია „სითბო და მხარდაჭერა გურიას“ გაიმართა. ზემო მაჩხაანის საზოგადოების ერთიანობა შედგა.

მოხალისეობრივ საქველმოქმედო ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთო სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. მათ მიერ გაწეული ძალისხმევისა და თანადგომის წყალობით შეგროვდა დიდი რაოდენობით სურსათი და თბილი ტანსაცმელი, რომელიც უკვე გაიგზავნა გურიაში სტიქიისგან დაზარალებულ ოჯახებთან.

„ასეთ რთულ სიტუაციაში ჩვენი საზოგადოება გვერდით დაუდგა მათ, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს დახმარებას. „გაავრცელე სითბო“ განხორციელებდა სურსათისა და თბილი ტანსაცმლის შეგროვებას, რათა საჭირო ნივთები დაზარალებულ ოჯახებს დროულად მიწოდებოდა. ამ კეთილშობილურ საქმეს ზემო მაჩხაანის კლუბიც შეუერთდა. გვინდა მადლობა გადავუხადოთ მათ, ვინც პატარა წვლილი მაინც შეიტანა ამ საქველმოქმედო კამპანიაში. თქვენი სიკეთე და ერთიანობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სირთულეების წინაშე ქართველი ხალხი არასოდეს რჩება მარტო“ - აღნიშნავენ ზემო მაჩხაანის სკოლაში.

ბოლო დღეებში გურიის მაღალმთიან რეგიონში სტიქიამ მძიმე ვითარება შექმნა. დიდთოვლობის გამო ადგილობრივი მოსახლეობა გარე-სამყაროსგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. მათ არ აქვთ ელექტროენერგია, გაზი და ინტერნეტი, ხოლო საკვების მარაგი ეწურებათ. რეგიონებში უამინდობა გრძელდება, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოქალაქეები დახმარებას ითხოვენ. პრემიერ-მინისტრმა სტიქიის ზონებში სპეციალური ძალები და 140 ტონა სურსათი გაგზავნა.

ურთიერთობის რამდენიმე „ოქროს“ წესი

თუ ადამიანთა ურთიერთობებში ჩნდება პრობლემები, ძალიან მნიშვნელოვანია:

1) შევხედოთ ამ ურთიერთობას არა მარტო ჩვენი, არამედ პარტნიორის პოზიციიდანაც. როგორი არაკონსტრუქციულიც, თუნდაც აგრესიულიც არ უნდა იყოს მისი ქცევა, ის ამ ქცევით გვატყობინებს, რომ უჭირს. უჭირს ჩვენზე არანაკლებ, შესაძლოა, მეტადაც. აგრესიული ქცევის უკან ხომ ადამიანის ღრმა იმედგაცრუება იმალება. პარტნიორის პოზიციაში საკუთარი თავის ჩაყენება დაგვეხმარება გავუგოთ მას. მივხვდეთ, თუ რა უჭირს და მივუტევოთ. პრობლემური ურთიერთობის მოგვარება კი ყოველთვის მიტევებით იწყება. მხოლოდ მიტევებას შეუძლია გაარღვიოს მანკიერი ურთიერთობის „მოჯადოებული“ წრე.

2) ძალიან მნიშვნელოვანია პრობლემური ურთიერთობის მოგვარება ჩვენ ვითაოთ, რადგან საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებით იწყება პიროვნული თავისუფლება.

3) ასევე მნიშვნელოვანია გავერკვათ, საკუთარ თავში გავიაზროთ, თუ რა არის ამ ურთიერთობაში ჩვენთვის სასურველი მიზანი. გამოვყოთ მიზნიდან ის საშუალება, რითაც ვცდილობთ მის მიღწევას. ამისთვის საჭიროა დავაკვირდეთ, თუ რამდენად ვიღებთ ჩვენი ქცევის პასუხად სასურველ რეაქციას პარტნიორის მხრიდან. თუ ვერ ვიღებთ სასურველ რეაქციას - ეს იმის ნიშანია, რომ უნდა შევცვალოთ ქცევის ნაცადი სტრატეგია. წავიდეთ ამგვარ რისკზე, რომ არის პრობლემები, რომლებიც სუბიექტურად არსებობს და გადავდგათ შემდგომი ნაბიჯები ჩვენი პიროვნული ზრდის გზაზე.

ბესიკ გიგოლაშვილი, ფსიქოლოგი

„ზაქების“ წარმატება

16 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა შეჯიბრი კიკბოქსინგში. ჩემპიონატი კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით (პრეზიდენტი ლაშა ჭურაძე) გაიმართა. ორთაბრძოლებში დედოფლისწყაროელი სპორტსმენებიც ასპარეზობდნენ.

ზემო მაჩხაანის სპორტული კლუბი „ზაქები“ (მწვრთნელი გენადი ნატროშვილი) საუკეთესო შედეგებით დაბრუნდა. მარიამ ჯაბაშვილმა სუკეთესოზე საუკეთესო შედეგები დადო. მან ამ ტურნირზე სამ წონით კატეგორიაში მიიღო მონაწილეობა და სამივე წონაში ნოკაუტით დაასრულა ბრძოლა. აღსანიშნავია, რომ ჯაბაშვილმა დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ბარბარე ბუდაგაშვილი და სამი ოქროს მედლით დაბრუნდა სოფელში.

წარმატებულად იასპარეზეს ასევე:

*** ნიკა ჯაბაშვილმა - 72კგ, 2009 წ;**

*** რატი დაუთაშვილმა,** რომელმაც ნოკაუტით გაიმარჯვა და საუკეთესო ბრძოლა ჩაატარა.

ასევე მონაწილეობდნენ ახალბედა სპორტსმენები:

*** საბა ხიზანიშვილი** - 68კგ, 2008 წ და

*** ნიკოლოზ ცაკაშვილი** - 53კგ, 2008 წ.

5 წლის ბიჭი ექიმების დაუდევრობას ემსხვერპლა

სოფელ ზემო მაჩხაანში 5 წლის ბავშვი დაიღუპა. ოჯახის წევრები მომხდარში ექიმს ადანაშაულებენ, რომელმაც მათი თქმით, ბავშვს ალერგიული სინჯი არ აუღო, რამაც ანაფილაქსიური შოკი გამოიწვია.

ზემო მაჩხაანში ამბობენ, რომ ბავშვი რამდენიმე დღით ადრე ჯერ წნორის „არქიმედეს“ კლინიკაში ვირუსული ინფექციით მიიყვანეს. შემდეგ სახლში დაბრუნებულს დილით ღებინება დაეწყო. ბავშვის ბიცოლა ყვება, რომ 5 წლის ავთო მაძღარაშვილი დედოფლისწყაროდან თბილისის იაშვილის კლინიკაში პარასკევს, 21 თებერვალს წაიყვანეს. მას პირღებინება აწუხებდა.

„ხუთშაბათს კარგ ხასიათზე იყო, საღამოს უთქვამს, დავიღალეო. შემდეგ დაიძინა და დილით რომ გაიღვიძა, მაშინაც ანალოგიურად დაუწუწუნია, როგორც ჩანს სუსტად იყო. თუმცა, არც სიცხე ჰქონდა, არც გაციების სხვა რაიმე ნიშანი. არაფერს ჭამდა, არც წყალს სვამდა. წაიყვანეს თბილისში. ფილტვებიც დაათვალიერეს და მუცლის ღრუც, არაფერი საეჭვო არ შეუნიშნავთ. მხოლოდ პირღებინება ჰქონდა და ამ დროს ხდებოდა ცუდად, ამის გამო გადასხმა დაუდგეს. გადასხმის დროს ექიმი შემოსულა და კიდევ ერთი პრეპარატი შეუშვია ვენაში, მანამდე დედას უკითხავს, რა მედიკამენტიაო, რადგან ბავშვი იყო ალერგიული. თუმცა ექიმმა მაინც შეუშვა პრეპარატი ვენაში. ექიმი რომ გავიდა, 3 წუთში ბავშვმა თვალები გადაატრიალა და კომაში ჩავარდა. მალევე დაიღუპა“ – ამბობს გარდაცვლილის ბიცოლა.

ბავშვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნულია ექსპერტიზა. მედიკოსების ბრალეულობის საკითხს შეისწავლის ასევე სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ამგვარ დარღვევებზე რეაგირება და დამნაშავე ექიმების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დასმა.

მომხდართან დაკავშირებით მწუხარება გამოხატა მირზაანის საბავშვო ბაღმა და გარდაცვლილის ფოტოები გაავრცელა. ***შირაქი***

ერთი კადრი წარსულიდან

1967 წელი, ქალაქ წითელწყაროს მთავარი პროსპექტი, კულტურის სახლის შენობა. ფოტო გადაღებულია გზის მოპირდაპირე მხარეს არსებული სამხედრო ნაწილის მესერიდან. ფოტოს ავტორი: კულაკოვი ო.ნ. დაცულია რუსულ არქივებში.

სამეზობლოში დიდი მწუხარეა... გაგვიფრინდა პატარა ანგელოზი

ავთო (ათუკა) მაძღარაშვილი

ვუსამძიმრებთ ოჯახს და გამძლეობას ვუსურვებთ.

სამეზობლოს სახელით,
ნიაზი და სოსო ჯანაშვილები

„ზრუნვა და სიყვარული უკვალოდ არასდროს ქრება“

გაზაფხულმა კარზე მოგვიკაკუნა, მოდის და მოდის ქალთა დღეები, გაზაფხული ხომ თავისი ბუნებითაც ქალის ხასიათს უფრო ნაგავს. დღეს ჩვენც გაზაფხულზე დაბადებული ქალბატონის, ჩვენი საყვარელი მასწავლებლის **ლალი მაძღარაშვილ-მენთეშაშვილის** *მონახულება გადავწყვიტეთ. ქალი, რომელიც უამრავ გამოწვევას მტკიცედ და შეუპოვრად გაუმკლავდა. თითოეული ადამიანის შინაგანი ძალა განსაზღვრავს მის უნარს, ერთდროულად გაუმკლავდეს მნუხარებას და ღირსეულად აღზარდოს შვილები. ხოლო თუ როგორ შეძლო მან ეს ყოველივე, როგორც ქალმა და როგორც სამი შვილის დედამ, მისი ინტერვიუდან შევიტყობთ:*

— ლალი, მოგვიყევი შენს შესახებ...

—როგორც ეგზიუპერმა თქვა, „ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“. მახსოვს ჩემი უბნის გოგო-ბიჭები და მათთან ერთად გატარებული დაუვიწყარი წუთები, მახსოვს სკოლის პერიოდიც და ჩემი აქტიური ჩართულობა ყველა ღონისძიებაში. მერე იყო სტუდენტობა... ბევრს ვერ დავიკვეხნი, რადგან თბილისში ომისშემდგომი წლები იყო და უსაფრთხოების მიზნით, დაუსწრებელ სწავლებაზე გადავედი. დავამთავრე სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტი ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის განხრით. მერე მშობლიურ რაიონში დავიწყე მუშაობა №1 საბავშვო ბაღში აღმზრდელად. მართალია, შესაბამისი პროფესია არ მქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამისთვის ვყოფილვარ მოწოდებული. მერე ოჯახი, 3 შვილი და უეცრად საბედისწერო შემთხვევის გამო ჩემი დაქვრივება.

— რას ნიშნავს შენთვის დედობა და როგორ გაზარდე უმამოდ დარჩენილი სამი ბავშვი?

— როცა შავმა ღრუბელმა გადაიარა და რეალობის წინაშე დავდექი, მახსოვს, როგორ მოვიყარე მუხლი მძინარე ბავშვების ოთახში და ვთქვი: რა მეშველება, ღმერთო! პასუხმაც არ დააყოვნა და თითქოს ჩამესმა ხმა: ნუ გეშინია, მე შენთან ვარ! ცრემლები წამსკდა და მივხვდი, რომ უფალი მანუგეშებდა. მას მერე ასე, ღვთის მადლს ჩაჭიდებული, მოვყვები ცხოვრებას. გავიაზრე, რომ ორმაგი ტვირთი უნდა მეტარებინა – ერთი როგორც დედის და მეორე, როგორც მეუღლის. იმ ბრძოლაში, სადაც შვილები უნდა დამეცვა, უბრალოდ არ მქონდა მოდუნების დრო, არ მქონდა წუწუნის უფლება, არ იყო ჟამი სასოწარკვეთილებისა. ოთარაანთ ქვრივს ვანსახიერებდი სკოლაში ერთ-ერთ ღონისძიებაზე და რა ვიცოდი, რომ მეც ქვრივობის ბედი მხვდებოდა წილად.

— რამდენად დაძლევადია ჩვენს პირობებში მეუღლის გარეშე დარჩენილი სამი შვილის დედის ხვედრი?

— პრობლემების გარეშე არ არსებობს ცხოვრება, როგორი უზრუნველიც არ უნდა იყოს ის. თუმცა, ვფიქრობ, რომ პრობლემას ის კი არ უნდა უთხრა, რა დიდი პრობლემა ხარ, არამედ ის, რაოდენ დიდი ღმერთი გვყავს. ბევრი სირთულე გამოვიარე, განსაკუთრებით ბავშვების გარდატეხის ასაკში, მაგრამ გადავწყვიტე, უფრო ახლო მეგობარი გავმხდარიყავი მათთვის, ვიდრე დედა. ერთად გავიარეთ სირთულეები და მზად ვიყავი ყოველი გამოწვევის დროს ემოციებს არ ავყოლოდი და სწორი გადაწყვეტილებები მიგველო. ჩვენ ერთად ვთანხმდებოდით ამა თუ იმ საკითხის მოგვარებაზე, განსაკუთრებით გოგონებთან. ვეცადე, ყველა ადამიანური რესურსი ჩამედო ჩემი შვილების აღზრდა-განათლებაში. როცა ვხედავდი, რომ მოტივირებულები იყვნენ სწავლაზე, მაქსიმალურად ვუწყობდი ხელს, რომ ამ ყველაფერს კარგი შედეგი გამოეღო და გამოიღო კიდეც. სამივე მათგანმა უმაღლესი დაფინანსება მოიპოვა ეროვნულ გამოცდებზე და დღესდღეობით ისინი ჩემგან დამოუკიდებლად აგრძელებენ კარიერულ ზრდას. თუმცა, აქვე მინდა მადლობა გადავუხადო დედას და ჩემი მეუღლის მშობლებს, დებს, მათი მხარდაჭერისა და მუდმივად გვერდში დგომის გარეშე ასე ვერ გამომივიდოდა ყველაფერი.

— ვიცი, რომ არაერთ სამეურნეო საქმიანობას ეწევი პროფესიულ საქმიანობასთან ერთად – უვლი ვენახს, ამზადებ გასაყიდ ჩურჩხელებს... როგორ ასწრებ ამ ყველაფერს და უთავსებ სამსახურს, სადაც ყოველდღიურად ამდენი პატარა გელოდება და შენგან უამრავ ემოციას და ცოდნას იღებს?

— კი, ნამდვილად ასეა, ძალიან დატვირთული ცხოვრების რუტინა მაქვს. ზემოთ ვთქვი, რომ ბავშვებთან მუშაობა ჩემი უნარების აღმოჩენა იყო. თითქმის 30 წელია, რაც საბავშვო ბაღში ვმუშაობ. იმ პერიოდში არც თუ ისე სახარბიელო ხელფასები გვქონდა, მაგრამ უკეთესი საარსებო პირობების გამო ან საზღვარგარეთ უნდა წავსულიყავი ან აქ უნდა გამეკეთებინა ისეთი რამ, რაც ჩემს საყვარელ საქმეს არ ჩამომაშორებდა და ამასთანავე ჩემი შვილების გვერდით ვიქნებოდი. ბევრ რამეს მოვეკიდე, მაგრამ ბოლოს ჩურჩხელების წარმოებამ გაამართლა. სოფელში ვენახი გვაქვს და იმ ყურძნის რეალიზება გადავწყვიტე ისე, რომ უფრო მეტი მოგება გვქონოდა. ასე დაიბადა ჩურჩხელების კეთების იდეა. არაჩვეულებრივი დედამთილი მყავს და თათარის გაკეთება მისგან ვისწავლე. ახლაც ცრემლმორეული ვიხსენებ ჩურჩხელების პირველ რეალიზაციას. ჩემი უფროსი შვილი, რომელიც პირველი კურსის სტუდენტი იყო, გვერდში დამიდგა და ერთად დავატარებდით იმ კალათს რუსთავის ბაზრობაზე, სკოლებში, საავადმყოფოებში. არასოდეს დამავიწყდება მისი მოკრძალებული ხმა „ჩურჩხელები არ გინდათ?“... ეს ის ხმა იყო, რომელსაც არ სცხვენოდა პატიოსნებითა და ალალი შრომით გაკვალული ბილიკისა.

— გვიამბეთ თქვენი ბოლო აქტივობების შესახებ საბავშვო ბაღში. რა სიახლეები გაქვთ, ხომ არაფერი შეიცვალა, ან რაიმე ახლებური მიდგომები ხომ არ დაინერგა?

— რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, როგორც გითხარით, ბევრი წელია ამ პროფესიას ვეუფლები და გარკვეულწილად ჩამომიყალიბდა ბავშვებთან მუშაობის მოქნილი მიდგომა. როცა ვადარებ მუშაობის პირველ წლებსა და ახლანდელს, ვხვდები, რაოდენ დიდი ცვლილებები მოხდა ამ სფეროში. ძალიან მახარებს ის, რომ საქართველოშიც დაიწყო ბავშვებზე მორგებული და მოქნილი კურიკულუმის განხორციელება, რომლის ძირითადი მიზანია ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა. მოგეხსენებათ, რომ ბაღებში სტანდარტული ზეიმები აიკრძალა, თუმცა არ გაუქმდა ბავშვებისთვის ზეიმობა. ამაზე ბევრი ვიფიქრე, როგორ ჩამენაცვლებინა ეს ორი ერთმანეთთან, თუმცა რადგან ბავშვებზეა მორგებული ახალი სწავლება, აქაც ისინი დამეხმარნენ. გამოსაშვები წელი იყო და რაღაც ისეთი უნდა გაგვეკეთებინა, რომ პატარებს არასოდეს დავიწყებოდათ. კითხვა დავსვი, თუ რა გასართობი მოუნდებოდათ ზაფხულის ცხელ დღეს. თითქმის ყველამ თქვა - ვიწუწაოთო. აი იდეაც! მშობლებს შევუთანხმდი და აუზები მოვუწყეთ გამოსაშვებ დღეზე. უნდა გენახათ მათი ბედნიერი სახეები. ზოგი წუწაობდა, ზოგი ბამბის ნაყინს ელოდებოდა, ზოგი კექსებს არიგებდა და რა ვიცი, უამრავი შესაძლებლობა ჰქონდათ ბავშვებს, რომ აერჩიათ მათთვის საყვარელი გასართობი.

შვილები: როლანდი, მეკო და ლანა მენთეშაშვილები

— მარტი მოვიდა... როგორც ქალს და როგორც დედას, რა გაქვს სათქმელი, რას ისურვებდი და უსურვებდი ქალებს?

— ამ კითხვაზე ჩემი ლანას დაბადების დღე გამახსენდა. გავიღვიძე და შევდივარ მის ოთახში, რომ მივულოცო 17 წლის იუბილე. და რას ვხედავ... ოთახი ბუშტებითაა მორთული და დიდი ასოებით უწერია „მადლობა რომ“... ვიფიქრე, თავისმა დაძმამ სიურპრიზი ხომ არ გაუკეთა-მეთქი და ვიდრე სიტუაციაში გავერკვეოდი, ყუთი მომაწოდა და მითხრა, გახსენიო. ცოტა დავიბენი - შენი დაბადების დღეა თუ ჩემი-თქო და როცა ყუთი გავხსენი, ცრემლები ვერ შევიკავე. თავის დაბადების დღეზე მე მიხდიდა მადლობას, რომ გავაჩინე, რომ ადამიანობა ვასწავლე, მის ხასიათებს ვიტანდი, მუდამ ვზრუნავდი, როცა ცუდად იყო განსაკუთრებულად ვუვლიდი, ყველაფერს ვპატიობდი და კიდევ ბევრი რამ ეწერა იმ ფურცლებზე. იმდენჯერ წავიკითხე ის სიტყვები, რომ მინდოდა სახელი დამერქმია ჩემი შვილის მადლიერებისთვის, თუმცა, ვერ მოვუფიქრე, იმიტომ რომ ასეთად ყოფნა ჩემი ვალი იყო. მე მინდა ყველა ქალს და ყველა დედას ვუთხრა, რომ მათ მხრებზე გადის ყველაზე დიდი მისია, რომელსაც ზრუნვა და სიყვარული ჰქვია. ის არასოდეს ქრება უკვალოდ, ამიტომ მე გაზაფხულის მოსვლა ისევ მიხარია.

გილოცავთ, ძვირფასებო, გაზაფხულის დღესასწაულებს. ბედნიერი ქალები და დედები ყოფილიყავით.

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

სასამართლო სტატისტიკა

დედოფლისწყაროს სასამართლო გასული წლის სტატისტიკას აქვეყნებს. როგორც ოფიციალურად გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსულ და განხილულ საქმეთა სტატისტიკა ასეთია.

სამოქალაქო სამართლის საქმე:

შემოვიდა – 290 საქმე (წარმოებაში იყო - 338 საქმე); დამთავრდა – 238 საქმე (მათ შორის გადაწყვეტილების გამოტანით – 23 საქმე, მიღებაზე უარი ეთქვა - 177 საქმე, დატოვებულია განუხილველად – 23 საქმე, შეწყდა მორიგებით - 14, შეწყდა სხვა საფუძვლით - 1);

ადმინისტრაციული საქმე:

შემოვიდა – 5 საქმე (წარმოებაში იყო 10 საქმე); დამთავრდა - 4 (გადაწყვეტილების გამოტანით -1, დატოვებულია განუხილველად -1, გადაცემულია განსჯადობით -2);

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე:

შემოვიდა – 85 საქმე (აქედან 4 საჩივარი, წარმოებაში იყო 20 საჩივარი); განხილულ იქნა - 85 ოქმი (სიტყვიერი შენიშვნა - 32, ჯარიმა - 39, შეწყდა - 6, გაუერთიანდა სხვა საქმეს - 6, დარჩა განუხილველი - 2) და 3 საჩივარი; **შირაქი**

იყიდება

დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი შეთანხმებით
ტელ: 595 32 47 61

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 03.03	სამშაბათი 04.03	ოთხშაბათი 05.03	ხუთშაბათი 06.03	პარასკევი 07.03	შაბათი 08.03	კვირა 09.03
დღე	3 °	5 °	6 °	8 °	9 °	8°	8 °
ღამე	–5 °	–3 °	–2 °	–2°	-1 °	-1 °	-1 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება გამომცემლობა „ლაბ კოლორი“-ს სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი